საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 აგვისტო, 2013 წელი.

№159 (7286)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმპერატორ კალიგულას ცხენმაც კარგი სირბილი იცოდა!

3

უზრდელი სააკაშვილის, დემაგოგი რატიანის და პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის „კომენტარები“

მოლი ჯორდანი: საქართველოს პრემიერ-მინისტრი – დარჩეს თუ ნავიდეს?

5

საქართველოს ისტორიის ორი შავი აგვისტო

7

„ქართული ოცნება“ სააკაშვილის პარტიასთან თანაარსებობას წყვეტს

8

განაწყენებული მინისტრის საჩუქარი თუ დესანტი მტრის ბანაკში?!

4

11

პოლიტიკა და სექსი

საფრანგეთი შეშინებულია

ასე იცის საზღვრების მოლიავებამ!

პარიზის რაიონების მოსახლეობის 50 პროცენტი იმიგრანტია!

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ სულიერება

პატრიარქმა ირანელ სასულიერო პირებს უმასპინძლა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ირანელ სასულიერო პირთა დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა და მას გავლენიანი სასულიერო პირი აიათოლა შაჰრისტანი ესწრებოდა. უწმინდესმა აიათოლა შაჰრისტანს ირანში მცხოვრები გაქრისტიანებული ქართველების შესახებ თხოვნით მიმართა.

— მე მინდა გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენთან მცხოვრები ქართველები, მოგეხსენებათ, როცა შაჰ-აბასმა წაიყვანა აქედან, მათი წინაპრები იყვნენ ქრისტიანები და ზოგიერთი აქ რომ ჩამოდის, ისევ ქრისტიანობას უბრუნდება. მე მინდა, გთხოვოთ, რომ არ დასაჯოთ ისინი, — მიმართა უწმინდესმა თხოვნით აიათოლა შაჰრისტანს, რაზეც ირანელმა სასულიერო ლიდერმა უპასუხა, რომ აუცილებლად მიაწვდის იგი აღნიშნულ ინფორმაციას „ვისაც საჭიროა“.

— ეს სახელმწიფოს ეხება, ჩვენ სასულიერო პირები ვართ, რა თქმა უნდა, ჩვენს საქმეს გავაკეთებთ აუცილებლად, ამ თხოვნას გავიზიარებთ, — განაცხადა აიათოლა შაჰრისტანმა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, აიათოლა შაჰრისტანი მეტად გავლენიანი სასულიერო პირია. მისი თქმით, შაჰრისტანის ვიზიტი კავკასიის სივრცეში სამშვიდობო ინიციატივებისა და უწმინდესის მიმართ კეთილი ურთიერთობების დემონსტრირებაა.

ამასთან, არეშიძის განცხადებით, ირანელი სასულიერო პირების ვიზიტის მიზანი ასევე არის კავკასიაში ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის სიტუაციის შესწავლა.

◎ ალიან-ჩალიანი

რუსეთთან სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება შემიძლია

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე გუშინ თელავს ეწვია.

ნინო ბურჯანაძემ თელავის საარჩევნო შტაბი გახსნა და ამით კახეთში ოფიციალურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. მოგვიანებით კი, ბურჯანაძე თელავის ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას შეხვდა და სიტყვით მიმართა.

ბურჯანაძის განცხადებით, ის კარგად იცნობს კახელი გლეხების

პრობლემებს და მხოლოდ მას შესწევს ძალა, რომ მათი შრომა დაფასდეს.

— რუსეთის ბაზარი ღიაა ქართული ღვინისთვის, მაგრამ არავინ იცის როდის დააწესებს რუსეთი ახალ ემბარგოს, რადგან ხელისუფლებას არ შესწევს ძალა დაარეგულიროს პროცესები. მიუხედავად ამისა, დამაბრალებენ თუ არა პრორუსულობას, შემიძლია რუსეთთან სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება. დღევანდელ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, ვინმემ პრორუსულობა არ დააბრალოს. მე არ მაინტერესებს, რადგან ჩვენზე ქართული ძალა არ არსებობს, — აცხადებს ბურჯანაძე.

პრეზიდენტობის კანდიდატმა თელავში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი მოილოცა. ტაძრის წინამძღვარმა მეუფე რაჟდენმა მას წმინდა ნინოს ხატი გადასცა საჩუქრად.

ნინო ბურჯანაძე წინანდალსაც სტუმრობდა.

რუსეთი გააგრძელებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თანასწორუფლებიან ურთიერთობებს

რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ დიმიტირ მედვედევმა ჩრდილოკავკასიელი ახალგაზრდების ფორუმის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

— „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ჩვენ ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ და ამაზე უარის თქმას არ ვაპირებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვიქნებით არათანმიმდევრული და გავწირავთ აფხაზ და ოს ხალხს ძალიან სავალალო მდგომარეობისთვის და შესაძლოა, საერთოდ, გაქრობისთვის, — განაცხადა მედვედევმა.

„როსსელხოზნადზორის“ დელეგაცია აჭარაში იმყოფება

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ისინი შეხვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს, მოინახულეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის ქობულეთის ლაბორატორია, ეწვივნენ ციტრუსის გადამამუშავებელ საწარმოებსა და სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტს, სადაც გაეცნენ კარანტინს დაქვემდებარებული მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის, ციტრუსების საექსპორტო პარტიების ფორმირებისა და ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცესს. ასევე, გაეცნენ უცხოეთიდან შემოტანილი მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის სასაზღვრო ფიტოსანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის მიმდინარეობას.

„როსსელხოზნადზორის“ დელეგაცია თბილისიდან მოსკოვში დღეს გაემგზავრებიან და მოამზადებენ დასკვნას, რომლის საფუძველზეც, სავარაუდოდ, უნდა გაუქმდეს „როსსელხოზნადზორის“ 2006 წლის ბრძანება საქართველოდან მაღალი რისკის შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთის ფედერაციაში შეტანის აკრძალვაზე.

◎ იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა თორემ?!.

ბიძინა ივანიშვილის მეორე შეცდომა

ტელეკომპანია მე-9 არხი დაიხურა. ამ დროისთვის ვრცელდება ინფორმაცია, რომ სერიოზული რეორგანიზაცია იგეგმება. ერთ-ერთი ვერსიით, სექტემბრიდან „მე-9 არხი“ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შეუერთდება. ტელეკომპანიასთან ერთად ასევე იხურება ინტერნეტ ტელევიზია „ინფო 9“. როგორც „ინფო 9“-ში აცხადებენ, იმ შემთხვევაში თუ მედიასაშუალება დაიხურება, თანამშრომლებს კომპენსაციას ჰპირდებიან.

თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ტელეკომპანიის მყიდველის ძებნამ შედეგი არ გამოიღო და, მიუხედავად სხვადასხვა ვერსიებისა, მეცხრე არხი აუცილებლად დაიხურება. მოკლედ - არანაირი რეორგანიზაცია.

არხის დახურვის შესახებ ჟურნალისტებმა საგანგებო ბრიფინგზე შეიტყვეს. საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ლუბა ელიაშვილმა თათბირი ჩაატარა და მათ უთხრა, რომ 10 თვეა, ახალ მფლობელს ეძებდნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რის გამოც გადაწყდა არხის დახურვა. არხი პირველი სექტემბრიდან დაიხურება. ჟურნალისტების განცხადებით, სავარაუდოდ, 2 თვის კომპენსაციას გადაუხდიან.

ტელეკომპანია მე-9 არხის შესაძლო დახურვას საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** გამოეხმაურა.

— საქართველოში რაც მეტი არხი იქნება მე ვიქნები ბედნიერი იმიტომ, რომ ჩემს დროს გაიხსნა ყველაზე მეტი არხი, რაც გაიხსნა. ჩემ დროს გაიხსნა „მე-9 არხი“, „მაესტრო“ როგორც პოლიტიკური მაუწყებელი. გაიხსნა „25“-ე არხი და სხვა რეგიონალური მაუწყებელი. ჩვენს დროს გაიხსნა ასობით ახალი გაზეთი. ჩვენს დროს, მიუხედავად იმისა, ვინ რას ლაპარაკობდა, იხსნებოდა გაზეთები და რეგიონალური ტელევიზიები. მე რომ გავხდი პრეზიდენტი, საქართველოში სამი არხი იყო — „იმედი“, „რუსთავი-2“ და „პირველი არხი“. ახლა არის რამდენიმე ათეული. რაც უფრო მეტი იქნება უფრო ბევრ ინფორმაციას მიიღებს საზოგადოება. უფრო მეტ არასწორ ინფორმაციას შედარებს ერთმანეთს და აარჩევს სწორს.

კოალიციის წევრი **ლევან ბერძენიშვილი** თვლის, რომ პრემიერ-მინისტრი თუ კუთვნილ არხს ხურავს, ეს მედიაზე ზეწოლად ვერ შეფასდება.

არხის დახურვის რეალური მიზეზი უცნობია საპარლამენტო უმრავლესობის წევრ **ანი მიროტაძისთვის.**

— ძალიან მტკივნეულად აღვიქვამ ნებისმიერი საინფორმაციო საშუალების დახურვას. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ფინანსური პრობლემის გამო ხდება, თუ ზეწოლასთან გვაქვს საქმე. წინა ხელისუფლების დროს ზეწოლა იყო მედიაზე და ამ მიზეზით იხურებოდა. გადაცემები, რომელიც მათ გემოვნებაში ვერ ჯდებოდა, იხურებოდა და ამის არაერთი მაგალითი ვიცით. მაგრამ, მე-9 არხთან დაკავშირებით რეალურად რა ხდება, არ ვიცი. ალბათ, უფრო ფინანსურ საკითხებს უკავშირდება, — აცხადებს ანი მიროტაძე.

არხის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს პრემიერის მრჩეველი **გია ხუსაშვილი,** თუმცა, აცხადებს, რომ როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერს აქვს საკუთარი მედია-რესურსი, წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ელემენტები შეეცდებიან ამ თემის გამოყენებას.

„თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა თვლის, რომ საქართველოში მედია-სივრცე ისევ პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ რჩება.

— როცა მედიაში ასეთი კულუარული გარიგებები ხდება, ეს რა თქმა უნდა, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მედია ჯერ კიდევ არაა თავისუფალი. დღევანდელი ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ მედიის დეპოლიტიზება დაეწყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ალბათ, ახალმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დასრულდეს საქართველოში პოლიტიკური არხების არსებობა. ეს თანაბრად ეხება „მე-9 არხს“, „რუსთავი 2“-ს და „იმედსაც“. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ მოხდებოდა ის, რომ დილით გაეგოთ ჟურნალისტებს არხის დახურვის შესახებ. ეს სიტყვის თავისუფლებაზე დადებითად არ იმოქმედებს, — აღნიშნა კახა კუკავამ.

ჟურნალისტი **თამარ ჩიქოვანი** იმედოვნებს, რომ არხზე ვითარება არ შეიცვლება და ჟურნალისტები შეძლებენ გააგრძელონ პროფესიული მოვალეობის შესრულება.

— არჩევნების შემდეგ ივანიშვილი აპირებს პოლიტიკიდან წასვლას და თან არხის მფლობელია მისი მეუღლე, რომელიც, რამდენადაც ვიცი, საერთოდ არ ერევა ამ ტელევიზიის მუშაობაში. ანუ, ეს რაღაცა მგონია ზედმეტად ევროპულობა. ტარდება ძალიან ბევრი მედია-მონიტორინგი და იქ გამოჩნდება არხი არაობიექტურია თუ არა.

ცოტა ყურით მოთრეული არგუმენტია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არაობიექტურ გარემოში ჩატარდება თუ „მე-9 არხი“ იარსებებს, მით უმეტეს იმის ფონზე, როდესაც ივანიშვილი ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ ის აპირებს პოლიტიკიდან წასვლას. მაშინ „მე-9 არხი“ რა შუაშია“, — ამბობს თამარ ჩიქოვანი.

თამთა ძარჩავა

ინფორმაცია თემაში

ტელეკომპანია „იბერია“ სიხშირეს იბრუნებს და, სხვა დაინტერესებული პირების გარდა, „მე-9 არხის“ ტექნიკურ ბაზას „იბერიას“ მფლობელებსაც შესთავაზებს, — ამის შესახებ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ გენერალურმა დირექტორმა ლუბა ელიაშვილმა განაცხადა.

ელიაშვილის თქმით, დაინტერესება არსებობს ტელეკომპანია „მე-9 არხის“ და „ინფო 9“-ის შეძენასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მას ტელეფონით უკავშირდებიან, ასევე სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ წერენ და ატყობინებენ არხის და „ინფო 9“-ის შეძენით დაინტერესებული პირები.

ტელეკომპანია „იბერია“ „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელს ზაზა ოქუაშვილს ეკუთვნოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „იბერიაში“ სპეცრაზმი შევიდა, რის შემდეგაც ტელევიზია დაიხურა.

◎ მორიგი სიცრუე

ამ კაცს სანამ არ დაიჭერენ, არ გაჩერდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, არასწორი ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან თავი შეიკავოს, - ამის შესახებ შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

— პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები ნდობას არ იმსახურებს და ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების რეალურ სურათს არ ასახავს, სიმართლეს არ შეესაბამება. სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ პროკურატურის მიერ სტატისტიკის ეროვნული ბიუროსთვის მიწოდებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დანაშაულს სრულად ითვლის. სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული იქნა 7 თვის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით, 2013 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 4126 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაორმაგებულია და 53,3%-ს შეადგენს, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

— პრეზიდენტს არაერთხელ გაუკეთებია შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული და შეურაცხმყოფელი განცხადებები. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს გამიზნულად არ ხდება. სამინისტრო მოუწოდებს ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ დანაშაულის სტატისტიკას არ ენდობა. „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დანაშაულის სტატისტიკას აღარ უნდა ვენდოთ“, — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა სპეციალური ტელემიმართვის დროს განაცხადა.

მისი თქმით, პარლამენტმა სერიოზული სამართლებრივი პრობლემები შექმნა, ძალიან ბევრი ისეთი დამნაშავე გამოვიდა ციხიდან, რომელიც არ უნდა გამოსულიყო, რასაც მოჰყვა სხვადასხვა დანაშაულისა და პედოფილიის სერიოზული ზრდა საქართველოში.

ინტერპრესი

იმპერატორ კალიგულას ცხენმაც კარგი სირბილი იცოდა!

საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელებისას სააკაშვილი უკვე მეორედ უბრუნდება რომაელი იმპერატორის – კალიგულას მიერ სენატში საკუთარი ცხენის არჩევის თემას.

პრეზიდენტი შეშფოთებულია, რომ „ხალხს შესთავაზეს ისეთი კანდიდატები, რომლებიც უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ჩვენი ხალხის განვითარების, ინტერესების და ღირსების დონეა. ასე რომ, ერთ-ერთი რომაელი იმპერატორის მსგავსად, რომელმაც სენატში ცხენი აირჩია, ამას ქართველი ხალხი არ გააკეთებს, რადგან ელემენტარულად უხერხულია, მათ ისეთი კანდიდატი შესთავაზეს“...

„სენატორ“ ცხენთან ასოციაციები სააკაშვილს ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში გაუჩნდა, როცა ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის დასახელება გადაწყვიტა. იმ დროს სააკაშვილი ამბობდა, რომ კონკრეტულად აღნიშნულ კანდიდატს არაფერს ერჩოდა, თუმცა, ახსენდებოდა ის დრო, როცა რომის იმპერატორმა (სააკაშვილის ინტერპრეტაციით) ნერონმა გადაწყვიტა, რომაელ საზოგადოებაზე საკუთარი თავის დომინირების დემონსტრაცია მოეხდინა. ამიტომაც თავისი ცხენი აირჩია სენატში. ამ მაგალითისგან განსხვავებით, სააკაშვილი მაშინ იმედოვნებდა, რომ იმის გამო, რომ „პრემიერ-მინისტრი ხშირად იცვლიდა აზრს“, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საპრეზიდენტო კანდიდატურასაც შეცვლიდა, რადგან ჩვენი საზოგადოება ანგარიშგასაწევი ძალა იყო და ის პატივისცემასა და ღირსეულად მოპყრობას იმსახურებდა. მოგვიანებით ფეისბუქზე გაკეთებულ კომენტარში სააკაშვილმა მოიბოდიშა კიდეც, რადგან კალიგულას ცხენზე საუბრისას უნებურად ნერონი წამოსცდა, თუმცა, სამი თვის შემდეგ ისევ ასეთი ეპითეტებით შეამკო ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი.

სააკაშვილის მიერ ოპონენტის საპრეზიდენტო კანდიდატის დამცირების მცდელობას უკვე მოჰყვა გამოხმაურება ინტერნეტსივრცეში. გაკეთდა შეფასებები, რომ სააკაშვილი დემაგოგობას თავს არ ანებებს და არაკორექტულ ანალოგს დაეძებს. ასევე, ითქვა იმის შესახებაც, რომ ეს ანალოგია უფრო სააკაშვილის პრეზიდენტობას შეეფერება, რადგან „იმპერატორმა კალიგულამაც სენატში ცხენი შეიყვანა და სირბილი მანაც მაგრად იცოდა!“

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, როგორც წესი, ადამიანები სხვადასხვა გზით მიდიან პრეზიდენტობამდე. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა ამბობდა, „ჩვენს ქვეყანაში ჯერ მივდივართ ციხეში, ხოლო შემდეგ ვხდებით პრეზიდენტი“. საქართველოში კი დასაშვებია ვითომც რეინკარნაციის შემდეგ საპრეზიდენტო მარათონში ჩაებას პარტია, რომლის გასამართლებასაც ხალხის უმეტესობა მოითხოვს. ყველაფერ ამ ფონზე საინტერესოა, რისთვის დასჭირდა სააკაშვილს არჩევნების წინ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების განქიქება და რას ნიშნავს მისთვის საპრეზიდენტო კანდიდატის ღირსებაზე საუბარი? რა უფრო ღირსეული საქციელი იქნებოდა, ერთი შეხედვით, უწყინარი დავით ბაქრაძისთვის, ყოფილიყო ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი თუ განრიდებოდა ამ მოვლენას?! ამის შესახებ უმრავლესობის წევრს **სერგო რატიანს** ასეთი მოსაზრება აქვს:

სააკაშვილმა ღირსეულთა სიაში, სავარაუდოდ, იგულისხმა დავით ბაქრაძე, „აშკარად გამორჩეული პოლიტიკოსი, რომელსაც განვლილი აქვს გარკვეული ეტაპები და არის სრულფასოვანი, სერიოზული გამოცდილების პოლიტიკოსი.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, სერგო რატიანმა დაადასტურა, რომ აქ პრობლემაა მარგველაშვილთან მიმართებით, რადგან მარგველაშვილი ერთი კაცის მიერ არჩეული კანდიდატია. ამდენად, ქართველ ხალხს არ უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, რომ მას ნაბოძები აქვს პრეზიდენტობა.

უზრდელი სააკაშვილის, დემაგოგი რატიანის და პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის „კომენტარები“

ნინო ბურჯანაძესთან მიმართებით სერგო რატიანს მიაჩნია, რომ აქ არის სერიოზული პრობლემა და ჩვენ არ უნდა გვყავდეს კანდიდატი, რომელიც ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს, უბრალოდ, ეწინააღმდეგება და აშკარად თანამშრომლობს ჩვენს მტერთან.

ჩვენ შევახსენეთ დეპუტატს, რომ ბურჯანაძე თავის დროზე სააკაშვილის გვედით იდგა და, აქედან გამომდინარე, მაშინ რატომ იყო გამორიცხული საქართველოს მტერთან თანამშრომლობა?! ამის საპასუხოდ სერგო რატიანმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ ბურჯანაძემ გაიკეთა საკმაოდ უცნაური კარიერა, როცა ის ურთიერთობდა რუსეთის ხელისუფლებასთან და ეს მოხდა 2008 წლის ომის შემდეგ. კერძოდ, „ბურჯანაძემ გადალახა წითელი ხაზები, რომელიც არ შეიძლება, გადალახოს ქართველმა ადამიანმა“.

ჩვენს შეკითხვას, რომ მის მიერ ნახსენები ტერმინი – „გამოცდილი პოლიტიკოსი“ ხშირად არ მოიაზრებს, რომ ეს ცნება თავსებადი იყოს ადამიანის ღირსებასთან, რასაც ადასტურებს საზოგადოების განწყობა „ნაცმოძრაობის“ მიმართ, სერგო რატიანი პასუხობს, რომ დავით ბაქრაძეს პოლიტიკურ კარიერაში შესწევს ძალა, გარკვეულ ინტერესებზე მაღლა დადგეს. მეტიც, მას აქვს მაღალი თმენის უნარი და შეუძლია ერის კონსოლიდაცია. **„ამიტომ სოციალურმა კვლევებმა უნდა დაადასტუროს ხალხის განწყობა“,** – მიიჩნევს უმცირესობის დეპუტატი.

ჩვენ დავინტერესდით, სააკაშვილის მიერ ნახსენები „ღირსება“ გულისხმობს თუ არა დავით ბაქრაძის, როგორც ნაციონალების გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრის პასუხისმგებლობას მათ დროს ციხეებში ჩადენილი დანაშაულის, ქუჩებში დახვრეტების, მიტინგების დარბევის გამო, რაზეც სერგო რატიანი აცხადებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ცხრაწლიანი შენების გამოცდილება.

– დამისახელეთ, შენების ამხელა გამოცდილება აქვს ვინმეს? ეს არის დადებითი გამოცდილება. ასევე, არსებობს გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია შეცდომებთან და ეს შეცდომები ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას აქვს დაშვებული. ეს არის სახელმწიფოებრივი გამოცდილება, – ამბობს სერგო რატიანი.

ამ დემაგოგიურ შეფასებას კომენტარი არ სჭირდება!

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** სააკაშვილის მხრიდან კანდიდატების განქიქებას პოლიტიკურად არაკორექტულს უწოდებს. მისი თქმით, შესაძლოა, 35 კანდიდატს შორის ბევრი კრიტიკასაც იმსახურებს, მაგრამ ის, რომ საზოგადოების ყველაზე ცუდი ნაწილის წარმომადგენლები არიან საპრეზიდენტო კანდიდატები, ეს არასწორია.

მისივე თქმით, მარგველაშვილს არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება, მაგრამ არც ის იქნება სიმართლე, გვეთქვა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი, 60-70% თავისი პოლიტიკური კულტურითა და გამოცდილებით მარგველაშვილზე მაღლა დგას, რადგან საზოგადოების მარგინალურ ფენას მარგველაშვილი არ განეკუთვნება.

თუმცა, ამის მიუხედავად, სოსო ცინცაძე გიორგი მარგველაშვილის შესახებ საკუთარ პოზიციას ინარჩუნებს, რომ იგი ახლოს ვერ მივა ბურჯანაძესთან, პოლიტიკური გამოცდილებითა და პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ბევრი სხვა თვისებით.

მანვე ივანიშვილის ფავორიტი მარგველაშვილი უაღრესად სუსტ პოლიტიკოსად დაასახელა და აღნიშნა, შეიძლება, ადამიანი პოლიტიკაში გამოუცდელი იყოს, მაგრამ ლომს ბრჭყალებით იცნობენ. თუმცა, პოლიტოლოგს მარგველაშვილის ტაქტიკურ ნაბიჯებში, თუნდაც მისი მინისტრის პოსტზე ყოფნისას, შავ ლაქად მიაჩნია ბენდუქიძესთან კაპიტულაცია, როცა ბენდუქიძის უნივერსიტეტის საკითხი წყდებოდა.

„მან დათმო იქ, სადაც არ უნდა დაეთმო. თუმცა, სენატში ცხენის შეყვანასა და სენატორად გახდომასთან მარგველაშვილის შედარება არაკორექტულობასთან ერთად უსამართლობაცაა. გასაგებია, სააკაშვილისთვის მიუღებელი იქნება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც არ არის მისი პარტიის წარმომადგენელი. რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, ჩვენი პრეზიდენტი ავლენს წმინდა პიროვნულ ხასიათს. ეს არის პოლიტიკური თავშეუკავებლობის პრობლემა, ელემენტარული ზრდილობის ნორმების არარსებობა. ეს ადამიანი აბსოლუტურად შინაგანად მოუმზადებელი შეხვდა გასული წლის ოქტომბერში კატასტროფულ დამარცხებას. ამდენად, ახლა მისი საქციელი გასაგებია“, – განმარტავს სოსო ცინცაძე.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

პრეზიდენტის მხრიდან მორიგი არასერიოზული განცხადება რასაკვირველია, სისულელეა

– ასე შეაფასა ტელეკომპანია „მე-9 არხთან“ დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არხის გენერალურმა დირექტორმა ლუბა ელიავშვილმა.

– პრეზიდენტი იმდენ არასერიოზულ განცხადებას ავრცელებს და იმდენ რაღაცას იგონებს, რომ კიდევ ერთი გამოიგონა. ცოტა შორს რომ წავიდეთ, შეიძლება დაწეროს, რომ ლუბა დედ-მამამ იმიტომ გააჩინა, მერე „ინფო 9“ შეექმნა, „მე-9 არხის“ დირექტორი გამხდარიყო, იქ ემუშავა და ჩვენთვის დედა ეტირებინაო, – განაცხადა ლუბა ელიავშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „მე-9 არხი“ იყო ერთი კონკრეტული „რეჟისორის“ ვლადიმერ ბედუკაძის გადაღებული ფილმის გასაშვებად შექმნილი არხი.

– არ უნდა ეწყინოთ „მე-9 არხის“ თანამშრომლებს, ისინი გამოიყენეს იმისთვის, რისთვისაც გამოიყენეს და მერე ჩვეულებრივად გვერდით ჩასწიეს, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა. სააკაშვილის განცხადებით, ის „მე-9 არხს“ არ მისტირის, თუმცა, აღნიშნავს, რომ დამატებით ერთი არხის დახურვა ცუდია.

„იმედის“ ვანდალურ დარბევასა და დახურვაზე პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილს ეკისრება

ეს განცხადება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი თარგამაძემ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადების საპასუხოდ გააკეთა, სადაც მან ტელეკომპანიის დახურვაში გიორგი თარგამაძე დაადანაშაულა.

– პრეზიდენტის უნამუსობას საზღვარი არ აქვს და, ზოგადად, ამ ადამიანის მორალურ-ზნეობრივი ხარისხის შეფასების სურვილი არ გამაჩნია, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ტელეკომპანია „იმედში“ 2007 წლის ნოემბერში განხორციელდა სამხედრო ოპერაცია, ეს იყო პოლიტიკური ტერორი სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ ბანდის მეთაურობით, რომლის შედეგადაც ტელეკომპანია „იმედი“ არა მხოლოდ დაიხურა, არამედ დარბეული იქნა. ტელეკომპანიის თანამშრომლები ამ უკანონო ძალადობის შედეგად ფიზიკურად დაზარალდნენ, – განაცხადა თარგამაძემ.

მისივე თქმით, ის, რომ სააკაშვილი დღეს ბედავს და მედიის ინტერესების დამცველად გამოდის, ამ „დამსახურებაში“ დიდი წვლილი მიუძღვის ახალ ხელისუფლებას.

– ამა წლის თებერვლიდან ხელისუფლებას მოვუწოდებ, გამოძიებული იქნას 7 ნოემბრის და შემდგომი პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანიასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა. ეს რომ დროულად მომხდარიყო და ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულიყო, პრეზიდენტი სააკაშვილი დღეს ტელეკამერებთან „იმედის“ და ტელევიზიების დამცველად კი არ იყელყელავებდა, არამედ, დიდი ხანია, საბრალდებო სკამზე იჯდებოდა, – აღნიშნა თარგამაძემ.

მისივე განმარტებით, 2007 წლის 7 ნოემბერს დაწყებული ოპერაცია ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა ტელეკომპანიის თანამშრომლებზე, რამაც არხის დახურვა გამოიწვია.

ჯერ კიდევ არშემდგარი სახელმწიფო ვართ

ამერიკულმა „ფონდი მშვიდობისთვისათვის“ არშემდგარი სახელმწიფოების 2013 წლის ინდექსი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველო 55-ე ადგილს იკავებს.

„ფონდი მშვიდობისათვის“ ყოველწლიურ ინდექსში წელს მსოფლიოს 178 ქვეყანა მოხვდა, რომელთა შორის ყველაზე არშემდგარად აფრიკის ქვეყნები – სომალი, კონგო, სუდანი და სამხრეთ სუდანი დასახელდნენ. ყველაზე შემდგარ სახელმწიფოებად კი ფონდმა ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, შვეიცარია და დანია დაასახელა.

„ფონდი მშვიდობისათვის“ ინდექსში მოხვედრილი ქვეყნების სტაბილურობას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამხედრო მდგომარეობით განსაზღვრავს და 12 ინდიკატორით აფასებს. მათ შორის: დემოგრაფიული მდგომარეობა, ბუნებრივი სტიქია, დაავადებები, საზოგადოებრივი ფაქტორები, საკვებზე/წყალზე ხელმისაწვდომობა, დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, შურისმაძიებელი ჯგუფები ან ისტორიული კონფლიქტი; ინტელექტუალური რესურსის გადინება ან განათლებული კლასის დაკარგვა, კრიმინალიზაცია, საჯარო სამსახურების მზარდი გადაგვარება, სხვა ქვეყნების და გარე პოლიტიკური ძალების ინტერვენცია და სხვა.

„ფონდმა მშვიდობისთვის“ არშემდგარი სახელმწიფოების 2012 წლის ინდექსში საქართველო 51-ე ადგილზე იმყოფებოდა.

ინტერპრესი

◎ მოღალატეები არც ერთ პარტიას ხელს არ უნდა აძლევდნენ

განაწყენებული მინისტრის საჩუქარი თუ დესანტი მტრის ბანაკში?!

ირაკლი ალასანიას პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა for.ge -ს განუცხადა, რომ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდა აქტივისტები ნინო ბურჯანაძის ბანაკში გადაბარგებისთვის ემზადებიან. წყაროს თქმით, აღნიშნულ თემაზე საუბარი „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისებში საკმაოდ ღიად მიმდინარეობს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თავად ირაკლი ალასანიას მისი მხარდამჭერების ბურჯანაძის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. რესპონდენტის თქმით, ახალგაზრდების დაბნეულობას ისიც უწყობს ხელს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების მიუხედავად, ბოლო დროს, მათ მართლაც არავითარი კომუნიკაცია არ ჰქონიათ პარტიის ლიდერებთან და ისინი თავს უფუნქციოდ მიიჩნევენ.

„დაბნეული აქტივისტი“ აცხადებს, რომ ახლო მომავალში „თავისუფალი დემოკრატების“ ასზე მეტი აქტივისტი „დემოკრატიულ მოძრაობას“ შეუერთდება, თუმცა, გაურკვეველია ეს იქნება ირაკლი ალასანიას შურისძიება მისი ვიცე-პრემიერობიდან გათავისუფლების გამო, თუ მმართველ კოალიციასთან კოორდინირებული ქმედება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის ჩაჩოჩების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძესთან გადასვლის შესახებ პროპაგანდას სწორედ ის ადამიანები ეწევიან, რომლებიც ალასანიასთნ დაახლოებულ პირებად ითვლებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის მინისტრი გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში საკმაოდ აქტიურადაა ჩართული, ყველას კარგად ახსოვს, რომ ვიცე-პრემიერობიდან გათავისუფლების შემდეგ, ირაკლი ალასანია ითვლება ყველაზე სუსტ რგოლად ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტში. „თავისუფალ დემოკრატებში“ „შეგზავნილთა“ და „ჩანერგილთა“ შესახებ ხმაურიანი განცხადება, თავის დროზე, „ქართული ოცნებიდან“ დავით საგანელიძემ გააკეთა. მან ირაკლი ალასანიას მოუწოდა დროულად გაერიცხა ასეთი ადამიანები პარტიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლებოდა, რომ ეს პარტიის მხრიდან მიზანმიმართულად კეთდებოდა.

ირაკლი ალასანიასთან ურთიერთობის დაძაბვის შესახებ მაშინ ღიად ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც, რის შედეგადაც ალასანია ვიცე-პრემიერის პოსტიდან გაათავისუფლეს და შეწყდა საუბარი მმართველი გუნდის მიერ მომავალ პრეზიდენტად ირაკლი ალასანიას კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, „თავისუფალი დემოკრატების“ აქტივისტებს მართლაც აქვთ საფუძველი ჩათვალონ, რომ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, მათ „გადაბირებას“ ნინო ბურჯანაძესთან, კოალიციაზე განაწყენებული ალასანია უწყობდეს ხელს.

„თავისუფალი დემოკრატებიდან“ „დემოკრატიულ მოძრაობაში“ გადასაბარგებელთა კანდიდატები უფრო მიზანშეწონილად მეორე ვარიანტს მიიჩნევენ, რომლის თანახმადაც, „ქართული ოცნება“ შეეცდება, საპრეზიდენტო არჩევნებზე, მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე გავიდეს და არა დავით ბაქრაძე. აქტივისტები თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძესთან გადასვლა „ნაციონალური მოძრაობის“ ქართული პოლიტიკიდან საბოლოოდ აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება ბურჯანაძის გაპრეზიდენტებისთვის რეალურ მხარდაჭერას, ალასანიას აქტივისტების ნაწილი ამას უსამართლობად მიიჩნევს, რადგან ისინი „თავისუფალ დემოკრატებში“ ყოფილი „მოქკავშირელისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წამყვანის სახის მხარდასაჭერად კი არა, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად გაწევრიანდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, კოალიციის შემადგენლობის ახალგაზრდა აქტივისტები მთავარ ამოცანად ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას მიიჩნევენ. ამ მიზნის მისაღწევად კი მზად არიან გადაჯგუფდნენ ნებისმიერ საარჩევნო ბანაკში.

კოალიციის მხრიდან დირექტივების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების მასპინძლობისთვის მზადყოფნის შესახებ ნინო ბურჯანაძის პარტიამ განცხადება უკვე გააკეთა.

ახალგაზრდა აქტივისტების უფუნქციოდ დატოვება კოალიციის შემადგენელ პარტიულ ოფისებში მიზანმიმართულად ხდება თუ არა, ამის შესახებ მსჯელობა მათ დამოუკიდებლად მოუწევთ, რადგან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარტიის ლიდერებთან დაკარგული კომუნიკაცია დღემდე აღდგენილი არ არის. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქტივისტებს ლიდერებმა პოლიტიკური თამაშის კარტები გაუხსნან. თუკი ასე გაგრძელდა, კარის უფრო ფართოდ გაღება სწორედ ნინო ბურჯანაძის პარტიას მოუწევს, რადგან ეს ის ადამიანები არიან, ვინც 1 ოქტომბრის არჩევნებზე ნაციონალებთან დაპირისპირებით ყველაფერი გარისკეს. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკიდან გადაჩოჩების ერთადერთ ალტერნატივად, ღიად თუ შეფარვით, „ქართული ოცნება“ მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს ასახელებს.

ასე რომ, „დემოკრატიული მოძრაობა“ ახლო მომავალში ირაკლი ალასანიას მხარდამჭერი აქტივისტების საკმაოდ დაბნეულ ჯგუფს მიიღებს. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, სავარაუდოდ, დიდხანს დარჩება გაურკვეველი ეს იქნება განაწყენებული მინისტრის საჩუქარი ბურჯანაძისთვის, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დასამარცხებლად გაგზავნილი დესანტი მტრის ბანაკში.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა, დეპუტატმა გიორგი **ცაგარეიშვილმა** for.ge-სთან აღნიშნული საკითხის კომენტირებისას განაცხადა:

„ბურჯანაძისათვის არც პირველია და არც ბოლო მსგავსი ინფორმაციების გავრცელება. მას უნდა შექმნას სურათი, თითქოს, „თავისუფალი დემოკრატების“ ხარჯზე ძლიერდება. ასეთ ბინძურ მეთოდებს ბურჯანაძის შტაბი ხშირად იყენებს მიზანმიმართულად. ამან უკვე ტენდენციის სახე მიიღო და ნინო ბურჯანაძე სატელევიზიო გამოსვლებისას, ნაცვლად იმისა, რომ ისაუბროს თავის საარჩევნო კამპანიაზე, საუბრობს „თავისუფალ დემოკრატებზე“. რამდენიმე წლის წინათაც ამბობდნენ, თითქოს, ალასანიას პარტიიდან ბურჯანაძის ფლანგზე გადადიოდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ასე რომ, ეს ბლეფიც საპნის ბუშტივით მალე გაქრება“.

აქვე მან ლანჩხუთისა და მარნეულის შემთხვევები გაიხსენა და განმარტა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ბურჯანაძის პარტიაში გადაბარგდნენ, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები არასოდეს ყოფილან.

გიორგი ცაგარეიშვილის მტკიცებით, „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს ლიდერებთან კომუნიკაციის არავითარი პრობლემა არ გააჩნიათ და ისინი აქტიურად მუშაობენ ყველა მიმართულებით. ზოგადად კი, მოღალატეების მიღება არცერთ პარტიას ხელს არ უნდა აძლევდნენ.

მარინა ხარძიანი

◎ არის ასეთი აზრიც

პარლამენტარებმა ვერ გაძლეს და უძველესი ხელნაწერები გაძლებენ?

ძუთაისში, პარლამენტის შენობაში, შესაძლოა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი განთავსდეს, რომელიც უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია საქართველოში. როგორც საპარლამენტო კულუარებში განაცხადეს, ხელისუფლებაში მსჯელობა მიდის საკითხზე — საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დაბრუნების შემდეგ, თუ რომელი ობიექტი უნდა განთავსდეს პარლამენტის გამჭვირვალე შენობაში. წყაროს ცნობით, ამ ეტაპზე, მმართველ გუნდში არის მოსაზრება, რომ პარლამენტის ახალი შენობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დაუთმონ.

საპარლამენტო უმცირესობა აცხადებს, რომ საქართველოს განძის — ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქუთაისში განთავსება, ქალაქისთვის საპატიო მისია იქნება, თუმცა, რეგიონის განვითარებისთვის ეს ინიციატივა პულსის მიმცემი ვერ იქნება (საინტერესოა, რა სახის პულსს აძლევდნენ „აკვარიუმში“ გამომწყვდეული პარლამენტარები ქუთათურთა მომავალს? — **რედ.**).

ინიციატივაზე საპარლამენტო უმრავლესობა ხმამაღლა არ საუბრობს, თუმცა, ნიშანდობლივია ის, რომ რამდენიმე დღის წინ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძესთან ერთად ესტუმრა და მათ ცენტრში დაცული უძველესი, უნიკალური ხელნაწერი წიგნები და ისტორიული დოკუმენტები ბუბა კუდავამ დაათვალიერებინა. ცენტრის ხელმძღვანელისგან სტუმრებმა უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელი და გადაუდებელი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაიდებს თუ არა ბინას ქუთაისში, ამის შესახებ ინფორმაცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ბუბა კუდავას არ სმენია.

აღსანიშნავია, რომ კუდავას მსგავსად, წინადადების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს პარლამენტის ქუთაისში გადატანის ინიციატორი, დეპუტატი აკაკი ბობოხიძეც.

— თუ რა განთავსდება ქუთაისის პარლამენტში, ამაზე მსჯელობა მას შემდეგ დაიწყება, რაც პარლამენტი თბილისში დაბრუნდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხელისფლება ამას ვერ შეძლებს. თუ მაინცდამაინც ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული და თუ ეს შენობა ამ კეთილ საქმეს მოხმარდება, ცხადია, ეს კარგია, რადგან შენობა უფუნქციოდ არ დარჩება. საქართველოს მთავარი განძის — ხელნაწერების ქუთაისში განთავსება, ქალაქისთვის საპატიო მისია იქნება, მაგრამ ეს ქალაქის განვითარებას ვერანაირ იმპულსს ვერ მისცემს, განსხვავებით პარლამენტისგან. იდეა არ მომწონს, რადგან ქალაქი ჩაკვდება და მთავრობამ რეგიონის განვითარების რაიმე ალტერნატიული გზა უნდა შემოგვთავაზოს, — განაცხადა ბობოხიძემ.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პარლამენტში განთავსების იდეა საქართველოს პატრიარქმა გააჟღერა, თუმცა, მაშინ უწმინდესი ცენტრის თბილისის ისტორიულ შენობაში განთავსების თაობაზე საუბრობდა. რამდენიმე წლის წინათ, ილია მეორემ ქუთაისში პარლამენტის გადატანის იდეას მოუმზადებელი უწოდა და პოლიტიკოსებს საკითხის მიმართ მეტი დაფიქრებისკენ მოუწოდა. პატრიარქი აცხადებდა, რომ **„თუკი საქართველოს პარლამენტი ქუთაისში გადავა, კარგი იქნება ეს ახალი შენობა ეროვნული ხელნაწერების შენახვისა და დაცვის მიზნით გამოყენებულ იქნეს“.**

საკანონმდებლო ორგანოს 360 მლნლარიანი შუშებიანი შენობა დაეთმობა თუ არა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ეს ცნობილი მას შემდეგ გახდება, რაც პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე უწყების თბილისში დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებას ოფიციალურად მიიღებს და საკონსტიტუციო ცვლილებებს დაამტკიცებს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის ადგილსამყოფელი განისაზღვრება.

P. S. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 1958 წელს დაარსდა პროფესორ ილია აბულაძის ინიციატივით. მის საცავებში თავმოყრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნთსაცავსა თუ კერძო კოლექციაში დაცული ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური — მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური ხელნაწერები, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები და მემორიალური ნივთები. ასევე ცენტრში დაცულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. აქვეა დაცული გრიგოლ წერეთლის სრულიად უნიკალური პაპირუსთა კოლექციაც. აგრეთვე, საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებსა და კერძო კოლექციებში დაცულ ქართულ და უცხოენოვან ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა ფოტოასლები და მიკროფირები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ათონის ივერონის მონასტრის, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირები. ცენტრს გააჩნია მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც ინახება ძველნაბეჭდი წიგნების ძვირფასი კოლექცია, მათ შორის პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარება, „დავითნი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა.

თეონა მანაგაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ — ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲗᲣ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ?

„ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ყოფნიდან თითქმის წელიწადის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შესაძლებლობას განიხილავს. ჯერ არ არის ცნობილი, გადადგება თუ არა ის ოფიციალურად 31 დეკემბერს.

ამასობაში კი, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მისი ნაადრევი წასვლა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებასა და სტაბილურობაზე ამა თუ იმ სახის გრძელვადიან გავლენას იქონიებს.

პოლიტიკურ მიმომხილველებს შორის უთანხმოებაა, მართლაც გადადგება თუ არა ივანიშვილი და რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება მისი კოალიცია პრემიერ-მინისტრის გარეშე, სულ რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის არამდგრად ეკონომიკაზე ძალაუფლების დაუგეგმავი გადაცემის გავლენასთან დაკავშირებით.

თუმცა, ლინკოლნ მიტჩელს (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი) მიაჩნია, რომ გადადგომამ, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაძლოა, საქართველოს დემოკრატიაზე დადებითად იმოქმედოს.

57 წლის ივანიშვილი, რომელიც ხელისუფლებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვიდა, არც კი მალავს, რომ სძულს პოლიტიკა. აქამდე ის სიმყუდროვეს ამჯობინებდა და ცნობილი იყო ზღაპრული სიმდიდრითა (ზოგიერთი ცნობით, დაახლოებით 4 მილიარდი ევრო) და ფილანთროპიული მოღვაწეობით. ახლა კი, ის დაჟინებით აცხადებს, რომ სურს ვადამდე გადადგომა, თუკი ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მას პოლიტიკიდან წასვლის საშუალებას მისცემს. „პოლიტიკა არასდროს მაინტერესებდა. პოლიტიკაში მოვედი, რადგანაც ეს იყო ჩემი ვალდებულება ხალხის წინაშე. წლის ბოლომდე გადადგომას ვაპირებ. გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო და პოლიტიკაში დაბრუნებას არ ვაპირებ“, — ივანიშვილის ეს განცხადება გაზეთ „Lietuvos Rytas“ 20 ივლისის ერთ-ერთ სტატიაში გამოქვეყნდა.

12 აგვისტოს, საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის წარდგენაზე, ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მიზანი საქართველოში ძლიერი ლიდერების ტრადიციის დამსხვრევაა. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში განათლებით ფილოსოფოსისა და განათლების ყოფილი მინისტრის მარგველაშვილის მხარდასაჭერად ივანიშვილმა განაცხადა: „(ჩვენ) ვარღვევთ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ ლიდერი, ქვეყნის პრეზიდენტი ზე-კაცი და ყველას პატრონი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს ჩვენს მაგივრად გადაწყვეტს“.

მიტჩელი, რომელიც წარსულში ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ არაოფიციალური მრჩეველი გახლდათ, აცხადებს, რომ თუკი ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან ვადამდე გადადგება, ძლიერი ლიდერებისა და სუსტი პარტიების „ციკლი“ შეიძლება მართლაც შეწყდეს, რამაც წინა რეჟიმი დაცემამდე მიიყვანა. ეს ტენდენცია, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ქვეყნის პოლიტიკური განვითარების თანმხლები მოვლენა გახლავთ. **„შეგვიძლია, ერთმანეთს მოვუყვეთ, რომ საქართველოში გვაქვს კონკურენტული ორპარტიული სისტემა, რაც კმაყოფილს გაგვხდის რამდენიმე მიზეზით... ჩვენში, ვისაც მართლა შესტკივა გული საქართველოს დემოკრატიისათვის, გაჩნდება კმაყოფილების გრძნობა, რადგანაც ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საქართველო კიდევ უფრო დემოკრატიული გახდა და სწორ გზაზე დგას“,** — განაცხადა მიტჩელმა ჩვენთან სატელეფონო ინტერვიუში, — **„ჩვენ, დასავლელ დამკვირვებლებს, არ გვაქვს უფლება, ერთი მხრივ, დავგმოთ ერთი პირის დომინირება საქართველოს პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, განვაცხადოთ — იცით, არ გვსურს, რომ ეს კაცი წავიდეს“.**

* * *

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ **ალექსანდრე რონდელი** ამ მოსაზრებას ეთანხმება და აცხადებს, რომ ივანიშვილის შესაძლო წასვლა ბიძგს მისცემს საქართველოს დემოკრატიას, თუმცა, ყველაფერი ფუჭი იქნება, თუკი სუსტი პოლიტიკური პარტიები შექმნილ პოლიტიკურ ვაკუუმს ვერ შეავსებენ. **„თუკი არ გყავს ძლიერი ლიდერები, უნდა გყავდეს ძლიერი და ნორმალური, განვითარებული პოლიტიკური პარტიები,** — აცხადებს რონდელი, — **ჩვენში გავრცელებული „ადამიანი-ორკესტრის“ პარტიების ტრადიცია უნდა შეწყდეს. დროა, გვყავდეს ნორმალური პარტიები“.**

ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება“ ექვსი განსხვავებული პარტიისაგან შედგება და ფართო სპექტრს მოიცავს: მაგალითად, სრულიად ახალ პოლიტიკურ ალიანსებს, როგორიცაა თავად პემიერ-მინისტრის „ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკური პარტია“ (ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური პარტია საქართველოში). თუმცა, პოლიტოლოგ **კობა თურმანიძის** თქმით, ვერც ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მივა ივანიშვილის პოპულარობის რეიტინგებთან. თურმანიძე აღიშნავს, რომ თავად პარტიის ლიდერებიც კი (მაგალითად, რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი, პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ივნისის გამოკითხვის თანახმად, ივანიშვილის შემდეგ ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსი) ამომრჩეველთა შორის პოპულარობით ივანიშვილის მხარდაჭერის ხარჯზე სარგებლობენ.

თურმანიძის თქმით, საქართველოს არსობრივად სუსტი პარტიული სისტემა საფრთხის ქვეშ აყენებს ნებისმიერ პოტენციურ სარგებელს, რომელიც შეიძლება ივანიშვილის წასვლას მოჰყვეს, განსაკუთრებით, თუკი ის ლიდერობის შენარჩუნებას არაოფიციალური გზებით გეგმავს. **„კოალიციის ერთგულება ემყარება სწორედ მის პირად დამსახურებას წარსულში და სავარაუდო სამომავლო დამსახურებას ქვეყნის მეთაურის რანგში. თუმცა კი, თავად კოალიცია საწინააღმდეგოს აცხადებს, ის ვერ მისცემს თავს ივანიშვილის დაკარგვის ფუფუნებას“,** — აცხადებს თურმანიძე.

მისი თქმით, **„წარმოუდგენელია, რომ ის გადადგეს, სრულიად გამოეთიშოს კოალიციას, ხოლო ამ გაერთიანებაში შემავალმა პარტიებმა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს — ეს სრულიად წარმოუდგენელია. ეს პარტიები, უკეთეს შემთხვევაში, მეგობართა კლუბებს წარმოადგენენ. ისინი არ არიან რეალური პარტიები“.**

მეორე მხრივ, მიტჩელი აღნიშნავს, რომ თუკი ივანიშვილი მართლაც გადადგება, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს იქნება „ქართული ოცნების“ კოალიციის დაშლის ტოლფასი და მთავრობის ეფექტურობა დაიკლებს, ასეთი პრეცედენტი ქვეყნის დემოკრატიას მაინც გააძლიერებს. მიტჩელის თქმით, **„ბევრს საუბრობენ, თუ რა მოხდება, თუკი „ქართული ოცნება“ გაუქმდება ან დაიშლება. მოხდება ის, რომ დემოკრატია განვითარდება“.**

რონდელის აზრით, რისკი, რომ საქართველოს პოლიტიკის სტაბილურობის დონე იკლებს, მისაღებია, თუკი ეს ნიშნავს დემოკრატიის უწყვეტ განვითარებას. **„უკვე დროა, გავემიჯნოთ ძლიერ ლიდერებზე დამოკიდებულებას საქართველოში. უკვე დროა, მიუხედავად გაუსაძლისი ზეწოლისა რუსეთის მხრიდან... დროა, ვისწავლოთ საკუთარი თავის მართვა ძლიერი პიროვნებების გარეშე. ყოველივე ეს რისკებთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ მგონია, რომ არსებობს პოლიტიკა რისკების გარეშე“.**

ᲛᲝᲚᲘ ᲙᲝᲠᲡᲝ.
BUSINESNEWSEUROPE

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

- **ფასიანი ტუალეტები მაინც გააიაფეთ, ვეღარ ითმენს ეს ხალხი 27—მდე.**
- **კონსტიტუციაში სადმე ყდაზე, ან დაშიფრულად ხომ არ წერია, რომ ამას მესამეჯერაც აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება?**
- **მე-9 არხის ტერიტორია ისე ჩვენში დარჩეს და სახინკლესთვის კარგი იქნება, საუნაც წავა...**
- **მიშამ ამ მთავრობის ხარჯზე ქონების დაბრუნებაც თუ დაიწყო, ლტოლვილებს ბინები და საცხოვრებელი მისცა, „ბადრი დათოს“ გამარჯვებას და ნაცანალების აღდგომა-დაბრუნებას წინ არაფერი უდგას...**

- **მამაო ტაბაღუა სად წირავს? — აღსარება მინდა ჩავაბარო. თუ აღსარებას არა, თავანს ხომ მაინც ჩაიბარებს?**
- **ვაიმე))) მიშველეთ ვინცხამ))) წყალი აღარ მშველის)))**

მიხეილ სააკაშვილი: „რაც უფრო მეტი არხი იქნება, ადამიანს მეტი საშუალება ექნება, თუნდაც არასწორი ინფორმაცია მიიღოს...“ :)

აღნიშნული კომენტარი სააკაშვილმა „მე-9 არხის“ დახურვასთან დაკავშირებით გააკეთა.

:))) ნაგლი გამიგია, მაგრამ ასეთიიიიიიი?

- **კაცი „რუსთავი 2“-ს ვერ მოერია და „მე-9 არხი“ დაამტვრიაო, თუ ეგ ცხენზე და უნაგირზეა?**

პრინციპში რა მნიშვნელობა აქვს (ანდაზამაც თანამედროვე ფორმა მიიღო :))

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔᲛ

◎ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲒᲘᲐ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ: ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲡᲞᲝᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გია ჟორჟოლიანი** ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეხვდა და სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე ესაუბრა. **„სტადიონის მშენებლობა ზუგდიდში, მიწების, საძოვრებისა და ტყის მასივების დაბრუნება, მესტიის რაიონში გზების გაკეთება, სოფელ ჭუბერში სამაშველო სამსახურის გახსნა, მარტვილში ხორცისა და რძის გადამმუშავებელი და ზუგდიდში ხილის გადამამუშავებელი ქარხნების აგება, ნიჭიერთა სკოლა-ლიცეუმის გახსნა ზუგდიდში. ყოველივე ამის გაკეთება გვაქვს გადაწყვეტილი. პრეზიდენტს სააკაშვილის წასვლის შემდეგ უფრო აქტიურად ჩავერთვებით ამ პროექტების განხორციელებაში, მანამდე ყველანი ვართ ფრთხილად. ძალიან გვინდა დავამკვიდროთ რეალური თვითმმართველობა რეგიონებში. მომავალი წლის მაისში ნაციონალების ნარჩენები უნდა მოისპოს რეგიონებში. კოალიციაში არსებობს სხვადასხვაგვარი განწყობა, ყველაზე მეტად გვერდში გვიდგანან „მრეწველები“. იმის იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ძალიან დიდია სოციალ-დემოკრატიული განწყობა“ ,** — თქვა გია ჟორჟოლიანმა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამეგრელო — ზემო სვანეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **გონელი პაპავამ** დამსწრეთ აუწყა, რომ ზუგდიდში ჩამოვა და სერიოზული ბიზნესის განხორციელებას გეგმავს რუსეთში მოღვაწე ზუგდიდელი ბიზნესმენი **ანზორ კიკალიშვილი,** რომელიც ცხრა წელია ზუგდიდში არ ჩამოსულა „ნაციონალების“ მხრიდან შესაძლო დატერორების გამო. გავრცელებული ვერსიით, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ მას 5 000 000 დოლარი მოსთხოვა ბიზნესის წარმოების სანაცვლოდ. ბიზნესმენმა ქედი არ მოუხარა ნაციონალებს, სანაცვლოდ კი „ნაცებმა“ მის ბიძას, პატიოსან პიროვნებას **გურამ თირქიას** მისი კუთვნილი 25 ჰა მიწა წაართვეს ანაკლიაში. ახლა ბატონი ანზორი ზუგდიდში აპირებს ჩამოსვლას და ჩვენი სურვილია, რომ ის ჩაუდგეს სათავეში ბიზნესის განვითარებას. ჩვენთვის ასევე მთავარია კანონიერების აღდგენა და ძალოვნების გაძლიერება პროფესიონალებით, ამიტომაც ძალიან გვინდა ისეთი პროფესიონალი ძალოვანი, როგორიცაა ზაალ გეგეჭკორი...

ᲚᲐᲓᲝ ᲥᲘᲠᲘᲐ,
ᲖᲣᲖᲓᲘᲓᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ სამინისტროს ინფორმაციით, გაცილების ცერემონიალი ვაზიანში IV ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე გუშინ გაიმართა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის სამშვიდობო ოცეული ISAF-ის მისიის შესასრულებლად რამდენიმე დღეში გაემგზავრება.

სამშვიდობო ოცეული ავღანეთში მყოფ დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების გაძლიერებულ ოცეულს ჩაანაცვლებს.

გაცილების ცერემონიალს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვასტანგ კაპანაძე, მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საზღვაო ატაშე ვიცე-პოლკოვნიკი რიჩარდ ბრეიდი და შეიარაღებული ძალების სხვა მაღალჩინოსნები დაესწრნენ.

ცერემონიალის დასასრულს სამშვიდობო ოცეულის სამხედრო მოსამსახურეები მე-13 ბატალიონის მოძღვარმა მამა გოჩამ დალოცა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ბავშვს მართლა შეეძლო, გაეკეთებინა ან ეთქვა რაიმე ისეთი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კაპრიზად, ეგოიზმად, სიზარმაცედ ან სისულელედ, მაგრამ ეს განეკუთვნება ბავშვის ხასიათს და არა თავად მას. განსხვავება მეტად სათუთია, თუმცა, მნიშვნელოვანი. არის დიდი სხვაობა სიტყვებს შორის **„შენ ცუდი გოგო ხარ!“** და **„რა ცუდია, რომ ხალიჩაზე წვენს აქცევ“.**

— განა ეს ერთი და იგივე არ არის? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— როდისმე გაგიკეთებიათ ისეთი რამ, რის შესახებაც შემდეგ გინანიათ? ჩაგედინათ რაიმე სულელური შეცდომა ან გაგეკეთებინათ რაიმე ცუდი?

— ვის არ შემთხვევია? — თქვა ახალგაზრდამ.

— და რა მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაიდინეთ რაღაც სისულელე, შეიძლება მთლად სულელად ჩაგთვალოთ?

— მგონი, მე თქვენი მესმის, — თქვა ახალგაზრდამ.

— ბევრი ადამიანი ქცევას ურევს თავად ადამიანში და შედეგად გვიჩნდება ნეგატიური აზრი საკუთარ თავზე, რაც სულაც არ არის სავალდებულო იყოს სამართლიანი, და მაინც მას ვინარჩუნებთ მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ახალგაზრდამ რაღაცეები ჩაიწერა თავის ბლოკნოტში.

— მესმის, როგორ გიჩნდებათ ნეგატიური წარმოდგენა და კომპლექსები საკუთარ თავთან დაკავშირებით, — თქვა მან. — მაგრამ როგორ მოვიშოროთ თავიდან ისინი, თუ უკვე არსებობენ?

— თავად უნარი — განვსაზღვროთ ასეთ წარმოდგენათა წყარო — უკვე არის პირველი ნაბიჯი, — თქვა მისის მოუზისმა. — ზოგჯერ პრობლემის გადაჭრისთვის საკმარისია მხოლოდ მისი შემეცნება. მაგრამ არსებობს წარმოდგენები, რომლებიც დამკვიდრდნენ ჩვენს სულში ისე ღრმად, რომ მათი განადგურება რაღაც მეტს მოითხოვს, ვიდრე მათი წარმომავლობის შემეცნებას. ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთი მეთოდია „აფირმაცია“ ანუ პოზიტიური მტკიცებანი.

— რას წარმოადგენენ ისინი? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— ეს მტკიცება არის ფრაზა, რასაც ჩვენ ჩვენსავე თავს ვეუბნებით ან ხმამაღლა, ან გონებრივად. პოზიტიური იქნება, მაგალითად, სიტყვები: **„მე ვარ მოსიყვარულე, გონივრული, უნიკალური ადამიანური არსება“.**

— როგორ შეიძლება, რომ ეს დაგვეხმაროს? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— თუ ძალიან ხშირად გვესმის, — განუმარტა მისის მოუზისმა, — ვიწყებთ მის დაჯერებას. ამ მიზეზით ჩნდება ჩვენს წარმოდგენათა უმრავლესობა — ჯერ კიდევ გვესმის ერთი და იგივეს გამეორება. ამ მეთოდს ხშირად იყენებენ რეკლამაში. ისინი იგონებენ რაიმე ფრაზას, კვლავ და კვლავ იმეორებენ მას რადიოთი და ტელევიზიით, და ჩვენ, ადრე თუ გვიან, ვიწყებთ მის დაჯერებას.

რომ ვმართოთ ჩვენი ცხოვრება, საჭიროა მოვიპოვოთ ჩვენი რწმენის მართვის უფლება, და აფირმაციების გამოყენება ამის მიღწევის ერთ-ერთი ხერხია.

— რა სიხშირით უნდა ვიმეოროთ რაიმე მტკიცება, რომ ქვეცნობიერებამ ირწმუნოს იგი? — იკითხა ახალგაზრდამ.

— რასაკვირველია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხშირად გაქვთ საპირისპირო ნეგატიური აზრი. ამას გარდა, სასურველია, გავიმეოროთ აფირმაცია გრძნობით ისე, თითქოს თქვენ მართლაც გჯერათ ეს; არ ღირს გავიმეოროთ იგი განყენებული, მონოტონური ხმით. გირჩევდით, გაგემეორებინათ ასეთი მტკიცებანი სულ ცოტა სამჯერ დღეში — დილით, დღისით და საღამოს. თუ გინდათ, ჩაიწერეთ იგი ბარათზე და გადაიკითხეთ ხოლმე ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში.

მეორე მეთოდი, რომელიც გვეხმარება, შევცვალოთ წარმოდგენა საკუთარ თავზე, არის ის, რომ ვიქცეოდეთ „თითქოს“. მაგალითად, თუ თავი არ მიგაჩნიათ მიმზიდველად, მოიქეცით ისე, თითქოს თქვენ ხართ ლამაზი; თუ ფიქრობთ, რომ გყოფნით საკუთარი თავის რწმენა, მოიქეცით ისე, თითქოს ეჭვიც არ გეპარებათ საკუთარ ძალებში.

— განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავს წარმოიდგენთ ვიღაც სხვად? — თქვა ახალგაზრდამ.

— რასაკვირველია. მაგრამ ყველაზე წარმოუდგენელი ხდება სწორედ მაშინ, როდესაც იწყებთ ისე ქცევას, თითქოს თქვენ ხართ მიმზიდველი, თავის თავში დარწმუნებული და ბედნიერი... თქვენ იწყებთ იმის შეგრძნებას, რომ ხართ სიმპათიური, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და ბედნიერი! შეიძლება, უკეთესი იყოს, ეს განვმარტოთ მაგალითით. წარმოიდგინეთ ნორჩი გოგონა, რომელსაც თავი ულამაზო გოგოდ მიაჩნია და მეგობრებთან ერთად მიდის ცეკვებზე. მთელი საღამო ის დგას ისეთ კუთხეში, სადაც ვერავინ ამჩნევს, — და სულაც არ არის გასაკვირი, რომ საცეკვაოდ არ იწვევენ. ეს გოგო რომ იქცეოდეს, როგორც ლამაზი, ის ჩაიცვამდა უფრო თვალშისაცემ კაბას და იდგომებოდა ცენტრში, ხალხს შორის. ის მოდუნდებოდა და დატკბებოდა თავისი თავით, თან ამ დროს, ბუნებრივია, იქნებოდა უფრო მიმზიდველი.

ახლა წარმოიდგინეთ ადამიანი, ვინც სიტყვით უნდა გამოვიდეს. ისე ღელავს, რომ მუხლები უკანკალებს. თავს ისე გრძნობს, რომ კიდევ ცოტა — და ის შემობრუნდება და გაიქცევა გასასვლელისკენ. მან არ იცის, რომ მისთვის აუცილებელია გაიაროს ეს გამოცდა, ამიტომ ცდილობს, იმოქმედოს ისე, თითქოს დარწმუნებულია თავის თავში. ბეჯითად და რწმენით წარმოთქმული შესავალი ფრაზის შემდეგ აუდიტორია მას ტაშს უკრავს, და ახლა ის თავს მართლა გრძნობს უფრო მაღალი რწმენით. ამგვარად ზოგჯერ ჩვენ შეგვიძლია თავს ვგრძნობდეთ უბედურად, მაგრამ თუ მხიარულად მოვიქცევით და გავუღიმებთ ადამიანებს, მაშინ ძალიან ხშირად ისინიც პასუხად გაგვიღიმებენ და კვლავ აგვიმაღლდება სულისკვეთება.

საკუთარ თავზე წარმოდგენის სრულყოფის კიდევ ერთი საშუალებაა ჩვენში იმის ძიება, თუ რა მოგვწონს.

— ეს თეორიულად კარგად ჟღერს, მაგრამ რამდენად ადვილია ამის გაკეთება პრაქტიკულად? — დაინტერესდა ახალგაზრდა, თან ჩანაწერებს აკეთებდა ბლოკნოტში.

— ეს ძალიან ადვილია, — თქვა მისის მოუზისმა. — საკმარისია შეგნებულად შეეკითხო საკუთარ თავს: **„რა მომწონს საკუთარ თავში?“** ან **„რა გამომდის კარგად?“**

— დიახ, მაგრამ პასუხი შეიძლება იყოს სიტყვები **„ძალიან ცოტა“** ან, კიდევ უარესი, **„თითქმის არაფერი“,** — არ დაეთანხმა ახალგაზრდა.

— ადამიანის გონების ერთ-ერთი საუცხოო თვისებაა ის, რომ ის ყოველთვის ეძებს პასუხს კითხვაზე, და პასუხი კიდეც რომ არ არსებობდეს, გონება აუცილებლად მონახავს მას. ყველაზე ხშირად თავს ვუსვამთ ნეგატიურ

შეკითხვებს: **„რატომ არა ვარ მიმზიდველი?“ „რატომ ვარ ასეთი შტერი?“, „რატომ ვერ ვახერხებ სამუშაოს შოვნას?“** და გონება აუცილებლად პოულობს პასუხს ნებისმიერ მისთვის მიცემულ შეკითხვაზე: **„იმიტომ, რომ დიდი ცხვირი გაქვს“, „იმიტომ, რომ შენ გონებასუსტი დაიბადე“, „იმიტომ, რომ არ შეგიძლია ადამიანებთან ურთიერთობა“.**

მაგრამ, როდესაც ვსვამთ პოზიტიურ შეკითხვებს, ჩვენ დადებით პასუხს ვღებულობთ. თუ მაინც ვერ მონახავთ რაიმე ისეთს, რომელიც მოგეწონებათ მართლაც, შეეცადეთ, შეცვალოთ შეკითხვა: „ჩემში რომ იყოს რაიმე ისეთი, რომელიც მომეწონებოდა, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო?“ ასეთი შეკითხვა უბრალოდ პოზიტიურ პასუხს მოითხოვს. არის სხვა შესანიშნავი შეკითხვებიც, რომლებიც ცვლიან ჩვენს დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი: **„რა არის ჩემი ძლიერი თვისებები?“, „რისი გაკეთება შემიძლია?“, „რა დარგში შემიძლია შევიტანო არსებითი წვლილი?“.**

აფირმაციები, ქცევა „თითქოს და პოზიტიური შეკითხვები — მეტად მარტივი და მოქმედი მეთოდებია, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია, დავიწყოთ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების შეცვლა. ამას გარდა, უნდა შევწყვიტოთ სხვებისგან იმ ცრუ აზრების გადმოღება, რომლებიც გარშემომყოფთა რეაქციებს ემყარება. ჩვენ მუდმივად უნდა ვახსენებდეთ საკუთარ თავს, რომ, მართალია სხვა ხალხი ჩვენი სარკეა, ესაა დამამახინჯებელი, მრუდე სარკე.

რომ დამჭირვებოდა ეს ყოველივე ერთ ფრაზაში მომექცია, შემოგთავაზებდით დაგემახსოვრებინათ ასეთი სიტყვები: კრიტიკისთვის არც ნიჭია საჭირო, არც დიდი ტვინი, არც ძლიერი ნებისყოფა. მხოლოდ ღმერთს შეუძლია შექმნას ყვავილი, მაგრამ ნებისმიერ ჩერჩეტ ბავშვს შეუძლია მოწყვიტოს მას ფურცლები! როდესაც ხალხი განწყობილია მტრულად ან უხეშად, როდესაც გამოთქვამს მკაცრ და ბოროტ აზრს, მისი სიტყვები მისივე და არა თქვენი მღელვარე სულის გამოხატულებაა. ამიტომ ნუ მოუსმენთ ნურავის, ვისაც უნდა აგიხსნათ თქვენ, თუ ვინ ხართ თქვენ — რასაკვირველია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს დადებითი აზრია. როგორ ფიქრობთ, შემეძლო მე მესწავლა უნივერსიტეტში ჩემს წლებში, სხვებისთვის რომ დამეგდო ყური? ნუთუ გგონიათ, რომ დავიწყებდი თხილამურებით სრიალის სწავლას სამოცდახუთი წლისა, რომ დავთანხმებულიყავი იმას, რასაც გარშემომყოფები ამბობდნენ ამასთან დაკავშირებით? შემეძლო, მესწავლა ხატვა სამოცდარვა წლისას? ვფიქრობ, სხვებისთვის რომ მესმინა, უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი ან ჭკუიდან შევიშლებოდი.

ხალხი ამბობს, რომ ჩემ ასაკში უბრალოდ სისულელეა ყოველივე ამის გაკეთება. ბევრი ძველებურად გიჟად მთვლის. იქნებ, ასეც არის, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრათ — მე ბედნიერი ვარ და კმაყოფილი საკუთარი ცხოვრებისა.

ერთხელ წავიკითხე, რომ ყველაზე უკეთესი, რასაც ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს ცხოვრებაში, — ესაა საკუთარი თავის შემეცნება, ვინაიდან მხოლოდ მაშინ ხდება იგი სრულიად თავისუფალი — თავისუფალი შეზღუდვებისგან და წესებისგან, რომელთა თავს მოხვევასაც ცდილობენ მასზე სხვები, ვისაც აქვს შესაძლებლობა იცხოვროს ისე, როგორც უნდოდა, რომ ეცხოვრა... და ყოფილიყო ბედნიერი.

ახალგაზრდამ იგრძნო, როგორ უმკვიდრდება აღფრთოვანება:

— ეს ჟღერს ასე მარტივად და გამოიყურება მეტად გონივრულად, მაგრამ... ნუთუ ეს მართლა მოქმედებს?

— ამაში რომ დარწმუნდე არის მხოლოდ ერთი საშუალება. შეეცადეთ თავად! — გაიღიმა მისის მოუზისმა.

საღამოს, ძილის წინ, ახალგაზრდამ გადაიკითხა დღისით გაკეთებული ჩანაწერები.

ჭეშმარიტი ბედნიერების მეოთხე მუღამი - ეს არის საკუთარ თავზე წარმოდგენათა ძალა

- ***ამბობენ, რომ „ადამიანი არის ის, რასაც ის თავის თავზე ფიქრობს“. ჩვენ ვართ ისეთი, როგორიც თავი მიგვაჩნია.***
- ***თუ მე ჩემი თავის უკმაყოფილო ვარ, უკმაყოფილო ვარ მთელი ცხოვრებითაც. ამიტომ იმისთვის, რომ მოიპოვო ბედნიერი ცხოვრება, უნდა ისწავლო — იყო კმაყოფილი საკუთარი თავით.***
- ***ყოველი ადამიანი უნიკალურია. ის არის გამარჯვებული, ვინაიდან სწორედ ამ ადამიანის გაჩენის შანსი იყო ერთი სამასი ათასი მილიარდიდან.***
- ***ხალხი ჩვენი სარკეა, მაგრამ ეს მრუდე სარკეა.***
- ***რომ დავძლიოთ საკუთარ თავზე კომპლექსები და უარყოფითი რწმენები, რომ შევქმნათ საკუთარი თავის სახე, აუცილებელია.***
- ***განვსაზღვროთ, როგორ გაჩნდნენ ნეგატიურ წარმოდგენაში და სამართლიანია თუ არა ისინი (თუ მათ აქვთ საფუძვლები, უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის შეცვლა).***
- ***ყოველდღე ვუთხრათ საკუთარ თავს პოზიტიური მტკიცებანი იმის შესახებ, როგორი ადამიანი გსურთ გახდეთ.***
- ***მოიქცეთ ისე, თითქოს ისეთი ხართ, როგორიც გინდოდათ რომ ყოფილიყავით.***
- ***ჰკითხოთ საკუთარ თავს, რა მოგწონთ თავად თქვენს თავში და რაში ეპყრობით საკუთარ თავს პატივისცემით.***

ქეიუმე ეულაქი

მიზნის ძალა

ორი დღის შემდეგ ახალგაზრდა შეხვდა მეხუთე წევრს თავისი სიიდან, დოქტორ ჯულიუს ფრენკსს. დოქტორი ფრენკსი იყო ფსიქოლოგიის პროფესორი ქალაქის უნივერსიტეტში, და მართალია უკვე იყო სამოცდაათი წლისა, ასხივებდა მისი ასაკისთვის არაჩვეულებრივ ენერგიას, რაც ახალგაზრდას მოხუც ჩინელს აგონებდა.

— ეს ჩინელი დიდი ხანია გავიცანი, მრავალი წლის წინათ, — აუხსნა დოქტორმა ფრენკსმა. — მაშინ, მეორე მსოფლიო ომის დროს, მე შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო ტყვეების ბანაკში ვიყავი. პირობები საშინელი იყო, თითქმის აუტანელი: ღარიბი რაციონი, სუფთა წყლის უქონლობა და ყველგან, საითაც უნდა გაიხედო — დიზენტერია, მალარია და მზის დარტყმა. ზოგიერთი ტყვე ვერ უძლებდა ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას, უწყვეტ და მძიმე შრომას მზის ქვეშ და სიკვდილი მათთვის წამებისგან სასურველი თავდაღწევა იყო. მეც ვფიქრობდი ამის შესახებ, მაგრამ ერთხელ ვიღაცამ აღმიდგინა ნება სიცოცხლისკენ. ეს მოხუცი ჩინელი იყო.

ახალგაზრდა ყურადღებით უსმენდა დოქტორ ფრენკსის საუბარს იმის შესახებ, თუ რა მოხდა იმ დღეს.

— დასუსტებული და დაუძლურებული მარტო ვიჯექი სამწყობრო ვარჯიშებისთვის განკუთვნილ მოედანზე და ვფიქრობდი იმის შესახებ, რამდენად იოლი იქნებოდა გავქცეულიყავი და დავჯახებოდი გადამღობ მავთულხლართებს, რომლებშიც ელექტროდენი გადიოდა. შემდეგ გაელვებაში აღმოვაჩინე, რომ გვერდით მიზის ეს მოხუცი ჩინელი. ჩემი სისუსტის მიუხედავად, ვიყავი გაოცებული და გადავწყვიტე, რომ ჰალუცინაციები დამეწყო. ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლებოდა, დალახვროს ეშმაკმა, იაპონიის ბანაკში ასე მოულოდნელად და ასე იოლად გამოჩენილიყო ჩინელი?

ის შემოტრიალდა და შემეკითხა. შეკითხვა იყო მეტად მარტივი, რომელმაც, პირდაპირი გაგებით, სიცოცხლე შემინარჩუნა.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 148-157

საქართველოს ისტორიის ორი შავი აგვისტო

საქართველოს „დამოუკიდებლად“ არსებობის განმავლობაში აგვისტო ორჯერ აღმოჩნდა ისეთი საზარელი, რომელმაც კარდინალურად შეცვალა საქართველოს ისტორია, ცხადია უარესობისკენ. ორივე უკავშირდება საქართველოს პირველ პირთა ამბიციურობას, წინდაუხედაობას და, რაც სავალალოა, ვითარების არცოდნას. გარეთ. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილება ხელმძღვანელებმა მიიღეს, თუმცა, არანაკლები დანაშაული მიუძღვით იმათაც, ვინც მათ გვერდით იყვნენ და ტყუილებით აბრიყვებდნენ „მეგობრებს“, ვინც სწრაფ წარმატებას ჰპირდებოდნენ „პირველებს“ და ხალხს.

პირველი ფაქტი 14 აგვისტოს მოხდა, როდესაც შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნით ჯარი, მეტადრე ლაშქარი, შევიდა აფხაზეთში, ვითომცდა რკინიგზის დასაცავად, ვითომცდა აფხაზთა ლიდერთან, არძინბასთან შეთანხმების შემდეგ. შესვლის საკითხი, რაღაც „საბჭოს“ მოახსენა ჯერაც თანამდებობის გარეშე მყოფმა, მაგრამ ლიდერად წოდებულმა გვარდიის „სარდალმა“, რომელმაც, აფხაზთა ჯიუტობით (წინა წლებში) განრისხებულმა, მწვანე შუქი აუნთო შევარდნაძეს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ გადაწყვეტილება ქვეყნის დაქცევის დასაწყისი გახდებოდა.

1992 წლის 14 აგვისტომდე კი იყო ივლისი და იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიკვაიძის პირველი გამოსვლა გაეროში, ანუ საქართველოს გაეროს წევრად მიღების ცერემონიალზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ყველაფერთან ერთად, იყო ფიცი საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე, რომ საქართველო შიდა პრობლემებს მხოლოდ დიალოგით, დიპლომატიით მოაგვარებდა.

ვის ვის და შევარდნაძეს, საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ალექსანდრე ჩიკვაიძის სიტყვიდან 14 დღის შემდეგ აგრესიული ნაბიჯი, ნეგატიურად შეფასდებოდა უცხოეთში. რაც შეეხება შინ – საქართველოს მოსახლეობის საკმაო ნაწილი აფხაზთა მორჯულების სურვილით იყო განმსჭვალული.

საქართველოს ფაქტობრივ მეთაურს იმის იმედიც ჰქონდა, რომ რუსეთისგან როგორც სამხედრო, ისე მორალურ დახმარებას მიიღებდა. იმჟამად ამბობდნენ, თითქოს იყო რაღაც შეთანხმება მოსკოვთან სწრაფი ომის თაობაზე, რაზეც ის (მოსკოვი) თვალს დახუჭავდა. სწრაფი ომი არ გამოვიდა. სინამდვილეში მივიღეთ ხანგრძლივი, უხეში შეცდომებით, სამხედრო საქმის უცოდინრობით, არაპროფესიონალიზმით, ხშირ შემთხვევაში ლაშქრის ცუდი ქცევით მიმდინარე ომი, რომელიც დასრულდა დიდი მსხვერპლით და აფხაზეთის დაკარგვით.

დამარცხებულმა „მთავარსარდალმა“ ძლივს გამოასწრო აფხაზეთიდან. რომ არა რუსი სამხედროები, არავინ იცის რა ბედი ეწეოდა მას, სრული შესაძლებელია ისეთი, როგორიც ჟიული შარტავას.

ქართველმა საზოგადოებამ გაგებით მიიღო შევარდნაძის საბედისწერო ნაბიჯი და არათუ მიიღო, რამდენიმე თვის შემდეგ დაუჩოქა კიდევაც – არ წახვიდე, არ დაგვაობლოო. საზოგადოების დიდ ნაწილს შიშს ჰგვრიდა გამსახურდიას ხსენება, ამიტომაც უჭერდა მხარს შევარდნაძეს.

დამარცხებული მეთაური გამარჯვებულად მოევლინა ხალხს. ამდენად, არც არავის უფიქრია 1992 წლის 14 აგვისტოს მოვლენების შეფასება და სათანადო დასკვნების გაკეთება, დამნაშავე ხელისუფლებისთვის შესაბამისი განაჩენის გამოტანა.

მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ ჰქონდა ადგილი დამნაშავე ხელისუფლების გასამართლებას. ყველა რომ არ გავიხსენით, არგენტინის სამხედრო ხელისუფლების დასჯა რად ღირს – ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისთვის გაჩაღებული ომის გამო.

დაუსჯელობის სინდრომი გაუჯდა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს. დაუსჯელობა სამხედრო დანაშაულისთვის, დაუსჯელობა ქვეყნის დოვლათის განიავებისთვის, დაუსჯელობა ხალხის საბანკო ანაბრების მითვისებისთვის, კორუფციისთვის, უამრავი უხეში შეცდომისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1992-2008 წლების აგვისტოებს შორის. დაუსჯელობის შეგრძნებამ რა არ გაიკეთებინა სააკაშვილის ხელისუფლებას – კორუფციის უამაღლეს დონეზე აყვანა, ანუ გაელიტარება, ადამიანების უკიდურესი შეურაცხყოფა დაშინება-დაშანტაჟება, ციხეებში ჩაყრა, (30000 პატიმარი!), ფასადური კეთილდღეობის შექმნა, ტოტალური სიცრუე და ა. შ.

კვიცი გვარზე ხტისო, რომ იტყვიან, ისე მოხდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ თითქმის ყველა ნეგატივში გაუსწრო წინამორბედს, რამაც თავისთავად შექმნა უმთავრესში გასწრების (2008 წლის აგვისტო) ყველა პირობა. ისე, როგორც 1992 წელს, ახალ ხელისუფლებასაც ჰქონდა იმედი ქვეყნის გარედან დახმარებისა.

შიგნით ცოტამ თუ იცოდა დამდეგი ომის თაობაზე. 2008 წელს ხელისუფლება ნაკლებად ელოდა ისეთ სახალხო დახმარებას, როგორსაც 1992 წელს ჰქონდა ადგილი. მისთვის მთავარი დასაყრდენი ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების მიერ გაწვრთნილი არმია იყო და, რაც მთავარია, თვით აშშ.

ისე, როგორც 1992 წელს, 2008 წელსაც გარედან დახმარებამ შედეგი არ გამოიღო. პირველ შემთხვევაში – გარედან დახმარებას, რუსეთის სახით, სამხედრო ოპერაციის წარმართვის დონემ, არაპროფესიონალურმა ქმედებამ შეუწყო ხელი. დაახლოებით იგივე ხასიათისა იყო მეორე შემთხვევაც. ქართულმა მხარემ კი შეძლო ცხინვალში სწრაფი შეტევის განხორციელება – გრადებით, ტანკებით, საფრენი აპარატებით, მაგრამ წარმატების შენარჩუნება ვეღარ შეძლო, რუსეთის მკაცრი, არაადეკვატური, ანუ გადამეტებული პასუხის შედეგად.

კულუარული ინფორმაციის მიხედვით – შეტევას, თანაც ესოდენ სწრაფს, რუსეთის მხრიდან, ადგილი არ უნდა ჰქონოდა. აშკარად მცდარი ვარაუდი გამოდგა. როგორც ჩანს, არც დასავლეთი, უპირველესად აშშ არ ელოდა რუსეთის ახალარჩეული პრეზიდენტის მედვედევის ასეთ მკაცრ რეაქციას.

აშშ-მა საქართველოს ბრიყვი, იმპულსური, არაადეკვატური პრეზიდენტის ხელით ტესტი ჩაუტარა რუსეთს, მის ბრძოლისუნარიანობას, მიღებული გადაწყვეტილების შეუვალობას. დასავლეთი იმასაც ვარაუდობდა, რომ რუსეთის სამხრეთ საზღვართან მუდმივი დაძაბულობის კერა შეექმნა საქართველოს სახით. და ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა...

ვერ გათვალა სააკაშვილმა მარტივი რამ – აშშ საქართველოს გულისთვის ომს არ დაუწყებდა იარაღით გაძეძგილ რუსეთს. რაც შეეხება PR-ს – იცოცხლეთ, ყველაფერს იღონებდა შავი სააკაშვილის გასათეთრებლად და რუსეთის „გასაშავებლად“.

ამერიკული ძალისხმევა ამ დარგში დღესაც ძალაშია, თუმცა, არიან ისეთი ამერიკელებიც ლინკოლ მიტჩელის სახით (მეცნიერი, პოლიტოლოგი), რომელიც, ცხადია, ამბობს რუსული აგრესიის თაობაზე (მან ასე უნდა თქვას), თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ აშშ-ში იყო ჯგუფი პოლიტიკოსებისა, მათ შორის ბუშის ადმინისტრაციაში, რომლებიც სააკაშვილს სისტემატურად შეუძახებდნენ – მიდი, მიდიო!

ოფიციალურმა ამერიკამ კი, კონდოლიზა რაისის სახით, ისეთი პოზა დაიჭირა – ჩვენ რა შუაში ვართ, მიშამ არ დაგვიჯერა, ყველაფერი სააკაშვილმა გადაწყვიტაო.

ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია გვაოცებს. გვაოცებს თუნდაც ის, რომ 2011 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევა, აშშ-ს ერთ-ერთი კერძო ფირმის მიერ, კანონიერად არის შეფასებული. დასკვნა სულ ახლახან გამომზეურდა, რამაც დამნაშავე მერაბიშვილს ლამის უდანაშაულობის ფრთები შეასხა.

მოკრძალებული იყო საქართველოში აშშ-ს საელჩოს განცხადებაც. მაინც რა „დიპლომატის“ ტვინი უნდა ჰქონდეს ელჩს, რომლის განცხადებას თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. ცხადზე უცხადესია, ვაშინგტონი ცდილობს დამნაშავე ნაცური ხელისუფლების გადარჩენას. მართალია, ნაცები ხელისუფლებაში არ არიან, მაგრამ უტიფრად გაიძახიან, მალე დავბრუნდებითო! სწორედ ნაცები ატრიალებენ ქვეყნის ბორბალს „ოცნების“ ხელით და ამ საქმეში ამერიკელთა წვლილი განუზომელია.

ამერიკელი სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც ორივე მხარეს ავარჯიშებს, უყვავებს, თავზე ხელს უსვამს, ხანდახან ტუქსავს კიდევაც, მაგრამ... ტუქსავს კულისებში და არა ტელეკამერების წინ, ისე, როგორც ეს გააკეთა ვადაგასულმა, უვიცმა პრეზიდენტმა პრემიერის მიმართ აშშ-ს სამხედრო ხომალდზე.

ამ მართლაცდა სალაღობო სცენამ მედიის უდიდესი ყურადღება მიიქცია და არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთში. თითქმის ყველა რუსულმა ტელეარხმა რამდენჯერმე გაიმეორა „შესანიშნავი“ ვიდეოკადრი, დაახლოებით ასეთი ქვეტექსტით – ნახე, ნახეთ, რა ხდებაო.

მართლაც, „კარგი სანახაობა“ იყო, თანაც ქვეყნის პირველი პირის დონეზე, თანაც მამა-მასწავლებლის თანდასწრებით, რომ იტყვიან მის გემზე, მაშასადამე, მის ტერიტორიაზე!

სალაღობო სცენამ ყველას გადაავიწყა მთავარი – აშშ-ს სამხედრო ხომალდის ვიზიტი ბათუმის პორტში და ოფიციალური ცერემონიალი, რომელსაც ადგილი აქვს ნებისმიერი ვიზიტის დროს ამა თუ იმ ქვეყანაში. მასპინძელი მხარე საელჩოს დახმარებით მოსაწვევებს უგზავნის საზღვაო პორტის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის ხელმძღვანელობას. თუმცაღა, როგორც წესი, ასეთ მიწვევას ქალაქის მერი, რეგიონის ხელმძღვანელი ან თავდაცვის მინისტრი პასუხობს. მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი საქართველოსთვის რაღა გემის კაპიტნის მიწვევა და რაღა თეთრი სახლისა! აშშ-ს ელჩის, ნორლანდის საქებრად უნდა ითქვას, რომ მან შეძლო საქართველოს „სრულიად“ ხელისუფლების აშშ-ს სამხედრო გემზე აყვანა – პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და ა.შ.

გაოცებული გემის კაპიტანი იტყვის - აღტაცებული ვარ ასეთი სტუმრობითო.

ამერიკულ გემზე „ყველას“ სტუმრობა ჩვენი უსუსურობის გამოხატულების კიდევ ერთი დადასტურება იყო, წყალწაყებული ხავსს ეჭიდებოდა. ვერც გუშინდელი და ვერც დღევანდელი ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ ხავსს არც ღრმა ფესვები აქვს და არც გადარჩენა შეუძლია!

2008 წელსაც შემოვიდნენ ამერიკული სამხედრო ხომალდები – ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.

„რომ არა ამერიკული გემები – რუსეთი თბილისსაც აიღებდაო“, – განაცხადა სააკაშვილმა და დაბეჯითებით გაიმეორა ის ზღაპარი, როგორ დაძრა პენტაგონმა სამხედრო თვითმფრინავები და გემები საქართველოს გადასარჩენად. დაძრა, მაგრამ მერე... ჰაერსა და წყალში გაიყინნენ!

გახსოვთ, ალბათ, რუსის ჯარი კარგა ხანს იყო იგოეთთან დაბანაკებული, რაღაც ვერ შევატყვე მას ამერიკელთა შიში. ან რა აქვს შესაშინებელი, დასაკარგი? რუსი მუდამ ზერელედ უყურებს მსგავს გამოხდომას, PR-ულ კამპანიას. მას რეაგირება არ აქვს პატარ-პატარა პროვოკაციებზე, რასაც 2008 წლის 8 აგვისტომდე სისტემატურად ჰქონდა ადგილი. რუსებს, ალბათ, არც 8 აგვისტოს ექნებოდათ ესოდენ მძაფრი რეაქცია, ქართული შეტევა რომ მიღებულ ჩარჩოებს არ გასცდენოდა, ტანკებს რომ არ დაეწყოთ ჯირითი ცხინვალის ქუჩებში.

სიტყვის მნიშვნელობის და ომის შედარება შეუძლებელია, მაგრამ ხშირად სიტყვა რომ ომს იწვევს - უჩვეულო რამ არ არის. 2008 წლის აგვისტოს ომიდან 5 წლის თავზე, რუსეთი, ისე, როგორც ყოველთვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ქართული მხარის გამონათქვამებს. აქაოდა სააკაშვილი სულელია და მის განცხადებაზე რეაგირებას აზრი არ აქვსო.

**სააკაშვილმა ხომ თავისი ტყუილებით, დემაგოგიით, ციხისწამებით არამარტო რუსეთს და მის ხელისუფლებას მიაყენა შეურაცხყოფა, არამედ სხვასაც. მაგალითად, ყაზახეთს, ნაზარბაევის სახით, გერმანიას, ყოფილი ვიცე-კანცლერის შტაინმაიერის სახით, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სახით. სამწუხაროდ, შეურაცხყოფილთა მხრიდან – „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. იქნებ ასეთმა წაყრუებამ გამოიწვია ს

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ქართული ოცნება“ სააკაშვილის პარტიასთან თანაარსებობას წყვეტს

პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ელოდებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სისხლისსამართლის დევნის აქტივიზაციას

პრეზიდენტობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილმა გამოაცხადა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნებში კენჭისყრის დღეს გახდება მიხეილ სააკაშვილის პარტიასთან — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — უკანასკნელი იძულებითი თანამშრომელი. ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა ქვეყანაში, რაც პარლამენტში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო, დამთავრდება მისი გამარჯვების შემთხვევაში პირველ ტურში.

მისი სიტყვებით, „იმათ, ვინც გაწბილებულია კოჰაბიტაციით, უნდა გაიგონ, რომ უკვე მეორე დღეს არჩევნებიდან ისინი იგრძნობენ: ქვეყანაში არ არის პრეზიდენტი, რომელიც საკუთარი პიარის გულისთვის ახდენს საქართველოს დისკრედიტაციას“. სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა და პარლამენტი იმოქმედებენ შეთანხმებით.

მკაცრი პოზიცია თანაარსებობის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, რაც ნაკარნახევი იყო დასავლელი პარტნიორების მიერ, გაისმა პირველად. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ეს ნაბიჯი განპირობებულია „ქართული ოცნების“ რეიტინგის დაქვეითებით იმის გამო, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოდიოზური ფიგურები ხშირად გაურბიან პასუხისმგებლობას. აგვისტოს დასაწყისში სასამართლომ ბრალდებათა ნაწილი მოუხსნა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრ ბაჩანა ახალაიას. ოთხი წლით სასჯელმისჯილი დასავლეთ საქართველოს გუბერნატორი თენგიზ გუნავა კი პრეზიდენტმა თავისი უფლებით შეიწყალა და დააბრუნა წინა სამუშაო ადგილზე. ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა დაწყებამდე ამჟამინდელს რჩება უფლება — შეიწყალოს საკუთარი მოსაზრებით, ამიტომ „ქართული ოცნება“ არ ჩქარობს ხმამაღალ პროცესებთან დაკავშირებით.

მაგრამ ამომრჩეველი საქართველოში არ არის ლოდინს მიჩვეული. გაწბილებამ უკვე მიგვიყვანა იმასთან, რომ ადგილებზე „მეოცნებეთა“ ნაწილი გადავიდა პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის, პარლამენტის ექსთავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გუნდში, რომელიც უფრო რადიკალურადაა განწყობილი სააკაშვილისა და მისი პარტიელებისადმი. მისმა მხარდამჭერმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ახალაიას გათავისუფლება ან ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილის შესაძლო გათავისუფლება პატიმრობიდან (სასამართლო განახლდება 23 აგვისტოს)„სახალხო აჯანყებას გამოიწვევს“.

— მარგველაშვილის განცხადება გამოწვეულია სწორედ „ქართული ოცნების“ მომხრეთა გადადინების გამო ბურჯანაძისკენ, — მიაჩნია დეპუტატს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მიხეილ მაჭავარიანს, — ამით ისინი აგზავნიან სიგნალს: ნუ დატოვებთ ჩვენს რიგებს, ჩვენც რადიკალიზებული გავხდებით.



მისი სიტყვებით, საქართველოს საზოგადოების ნაწილი მართლაც შეიძლება უკმაყოფილო იყოს კოჰაბიტაციით, მაგრამ „კიდევ უფრო მეტი — იმით, რომ არ იქმნება სამუშაო ადგილები, არ იზრდება შემოსავლები“.

ამ დროს ჩვენი წყაროები, რომლებიც ახლოს არიან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, აღნიშნავენ, რომ სააკაშვილის პარტიაში არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო ნაკლებია მონოლითურობა. იქ ესმით, რომ მისი კანდიდატი დავით ბაქრაძე ვერ გაიმარჯვებს. უფრო მეტიც, არის მონაცემები, რომ ამის შემდეგ ის გამოაცხადებს, რომ სულაც ტოვებს პოლიტიკას, არ სურს ატაროს პოლიტიკური პასუხისმგებლობის ტვირთი „ნაციონალების“ შეცდომების გამო 2004-2012 წლებში მმართველობის პერიოდში. შესაბამისად, არ არის გარკვეული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომავალი კონფიგურაცია, როგორც თავად მისი ლიდერის სააკაშვილის ბედი.

— ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს, — მიაჩნია კონფლიქტების მოწესრიგების ყოფილ სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას. — დარწმუნებული ვარ, რომ ნებისყოფა ამისთვის ბიძინა ივანიშვილის მთავრობას საკმარისი აქვს.

საქართველოს მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე მიიჩნევს, რომ „მარგველაშვილს, როგორც გონიერ ადამიანს, ესმის: „ქართული ოცნების“ თანამშრომლობამ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ქართველი ამომრჩევლისთვის შეიძინა ცუდი სუნი“.

— ხალხმა დაიწყო ფიქრი, რომ დასავლეთის ზოგიერთი წრის ზემოქმედებით კოალიცია თვალს ხუჭავს სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების დანაშაულებზე, — ამბობს იგი. — არჩევნების შემდეგ აღარ იქნებიან არა მხოლოდ სააკაშვილი, არამედ ისინიც მისი გარემოცვიდან, ვისაც დღემდე საკვანძო პოსტები უკავიათ. მაგალითად, უშიშროების საბჭოს მდივანი გიორგი ბოკერია.

უფრო მეტიც, ექსპერტი აკეთებს საპარლამენტო უმცირესობის დაშლის პროგნოზსაც, რომელსაც „ნაციონალები“ წარმოადგენენ. მათი ნაწილი დაიკავებს პასიურ პოზიციას, ნაწილმა შეიძლება დატოვოს პარტია, ისინი კი, ვინც არ ასოცირდება გასული წლების უგვანო საქმეებთან, შეეცდება განახორციელონ რებრენდინგი.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი ასევე მიიჩნევს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფენებად დაყოფა მხოლოდ დროის საკითხია.

— რაც შეეხება სააკაშვილს, მას არ გააჩნია საქართველოში პოლიტიკური გადარჩენის შანსი. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ წავიდეს უცხოეთში და იქ მოკიდოს ხელი რაიმე საქმეს, — აკეთებს პროგნოზს იგი. — მაგალითად, გახდეს მრჩეველი თავისი მეგობრის ჯონ მაკკეინისა, თუ ის ამას მოინდომებს. როგორც პოლიტიკოსი, სააკაშვილი მთლიანად გაკოტრდა.

განზრახვა — კენჭი იყარონ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, უკვე გამოთქვა თითქმის 30 პოლიტიკოსმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და რიგითმა მოქალაქეებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისია დარეგისტრირებული კანდიდატების სიას გამოაქვეყნებს კენჭისყრამდე ერთი თვით ადრე. გამოკითხვით ლიდერების სამეულში შედიან მარგველაშვილი, ბურჯანაძე და ბაქრაძე.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

აშშ-მა არაოფიციალურად „გაყინა“ სამხედრო დახმარება ეგვიპტისთვის

გადაწყვეტილება მიღებულია ფარულად და მას აფიშირებას არ უკეთებენ. მიზეზი გახდა უკანასკნელი მოვლენები ეგვიპტეში, სადაც ხელისუფლება სამხედროების ხელში გადავიდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვერაფრით გადაუწყვეტიათ, მიიჩნიონ თუ არა ეს გადატრიალებად, მაგრამ სურთ, თავი დაიზღვიონ. ამ დროს ისინი ცდილობენ, შეინარჩუნონ „მაქსიმალური მოქნილობა“, აღნიშნავენ ექსპერტები.

ბრიტანეთის პრესამ გამოაქვეყნა პატარა პრინც ჯორჯის პირველი ოფიციალური ფოტო

ერთ-ერთ სურათზე კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია აღბეჭდილები არიან ფეხზე მდგარები, ქეითს ხელში უჭირავს ბავშვი. მეორე ფოტოზე ულიამი და ქეითი შვილთან ერთად სხედან პატარა მდელოზე ორი ძაღლის კამპანიაში. ამ სურათებისთვის დაარღვიეს ბრიტანეთის სამეფო დინასტიის წევრების ოფიციალური საოჯახო პორტრეტების შექმნის ტრადიცია.

პაკისტანში უცხოელი ალპინისტების მკვლელობის ბრალდებით ტერორისტები დააპატიმრეს

წესრიგის დამცველებმა, უზარმაზარი ძალისხმევის შედეგად, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს საფარველამდე, სადაც იმყოფებოდნენ ტერორისტები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენელთა, უცხოელი ტურისტების, აგრეთვე 2012 წელს შიიტების მკვლელობაში ყარაყორუმის გზატკეცილზე, განაცხადეს დიამერის ოლქის პროვინციაში.

ეგვიპტეში სამხედროებმა შეცდომით აღგილობრივი ჟურნალისტი დახვრიტეს

სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს „ალ-ახრამის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ავტომობილს, რომელშიც ასევე იმყოფებოდა სხვა გამოცემის ჟურნალისტი. ავტომანქანის მისამართით სროლის საბაბი გახდა მისი მკვეთრი შემობრუნება საკონტროლო-გამტარის პუნქტის წინ. ინციდენტის შედეგად აბდელ რაუფი მოკლეს, მისი მგზავრი კი დაჭრეს.

„გარდიანის“ ჟურნალისტის პარტნიორის დაკითხვასთან დაკავშირებით საერთაშორისო სკანდალი გაჩაღდა

ბრაზილიამ, რომლის მოქალაქეცაა 28 წლის მირანდა, გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება“ ხიტროუში მისი დაკავების გამო, რასაც „გაუმართლებელი ხასიათი“ ჰქონდა. ბრიტანელმა პარლამენტარმა მოითხოვა პოლიციისგან განმარტება სიტყვებით: „ეს კანონმდებლობის ახალი გამოყენებაა“. გვერდზე არც სამართალდამცველები დარჩენილან.

კაიროში „მუსლიმი ძმების“ უმაღლესი მოძღვარი მუჰამედ ბადია დააპატიმრეს

უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ბადია დააპატიმრეს ბინაში რაბაა ალ-ადაუიას მოედნის მახლობლად, სადაც გასულ კვირას განთავსდა არმიის მიერ ისლამისტების დარბეული ბანაკი, რომლებიც მხარს უჭერდნენ გადაყენებულ პრეზიდენტ მურსის.

ასე იცის საზღვრების მოღიავებამ!



საფრანგეთი შეშინებულია

პარიზის რაიონების მოსახლეობის 50 პროცენტი იმიგრანტია!

დიახ, საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბნები თურმე არაბეთის ემირატებად გადაიქცნენ და საკუთარი კანონებით ცხოვრობენ. საერთოდ კი არაბული ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა რიცხვი 7 მილიონს აღწევს, რასაც საფრანგეთში საშიშად მიიჩნევენ. ოფიციალურად იმიგრანტები მთელი იქაური მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ, არაოფიციალურად — ორჯერ მეტს.

პარიზის რაიონს გუცე დორს „პატარა აფრიკას“ ეძახიან: ყოველი მეორე (!) მცხოვრები აქ ალჟირიდან, სენეგალიდან ან კონგოდანაა ჩამოსული. ფონტენ-ო-რუაში და ლია-შაპელში მესამედი იმიგრანტია, სხვა ხუთ რაიონში ახალმონაშენები პარიზელთა რიცხვის მეოთხედს უთანაბრდებიან. ერთგან თუ ჩინელები სახლობენ, მეორეგან — პაკისტანელები, თურქები და ბანგლადეშიდან წამოსულნი. არის განსაკუთრებული კვარტალები, სადაც ვიეტნამელები და ლიბიელები დამკვიდრდნენ. ამას კიდევ რა უჭირს — მაგალითად, მარსელში 800 ათასი მცხოვრებიდან დაახლოებით ნახევარი(!) ჩრდილოეთ აფრიკაშია დაბადებული.

— 1970-იანი წლების ეკონომიკური ბუმის დროს დავიწყეთ მიგრანტების მოზიდვა — კაპიკიანი შრომა გვჭირდებოდა — მსჯელობს ფრანგი პოლიტოლოგი. — „ოჯახების შეერთების შესახებ“ კანონზე დაყრდნობით მათ ცოლები და შვილები აქ გადმოიყვანეს... ფეხმძიმე არაბი და აფრიკელი ქალები არალეგალურად მოცურავდნენ ნავებით ჩვენთან და მაშინვე საავადმყოფოებს „ბარდებოდნენ“. იმათი შვილები ფრანგულ პასპორტს იძენდნენ, მერე კი მთელი ოჯახი ჩამოდიოდა. მიგრანტების შემწეობა ახლა თვეში ერთ კაცზე შეადგენს 281 ევროს, კიდევ 184 ევრო ყოველ ბავშვზე! ეს ზღაპარია, რომ არალეგალები იაფნი არიან — სინამდვილეში ხელფასს გვართმევენ.

განა გასაკვირი არ არის, რომ იმ ქვეყნების მოქალაქენი, რომლებიც წლობით ომობდნენ საფრანგეთთან დამოუკიდებლობისთვის — ალჟირისა თუ ვიეტნამისაკენ ისწრაფვიან „ოკუპანტებისაკენ“.

ეს ისევეა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკები ვითომ რომ გამოვიდნენ სსრ კავშირიდან, მერე კი მილიონობით უზბეკი, ტაჯიკი და ყირგიზი მთელი სოფლებით მიემგზავრებოდნენ რუსეთში, არალეგალურად სამუშაოდ.

პარიზის გარეუბანი, იმიგრანტების გეტო კლიში-სუ-ბუა (დედაქალაქის ცენტრიდან ავტომობილით 40 წუთის სამგზავრო რომაა) ცალკე ქვეყანას წააგავს. ქუჩებში ხალხი ეროვნული სამოსით დადის — არაბული კუფიები, გვინეური ბუბუები, ინდური სარიები. ყოველი მეორე ქალი (უფრო ხშირად აფრიკელი) ან ორსულადაა, ან ბავშვებთან ერთადაა... ყველგან ლპობადი ნაგვის გროვები ძევს — სოციალური საცხოვრებლის მკვიდრნი (ეს ფაცი-ფუცით შეკოწიწებული ხუთსართულიანი სახლებია), თავის შეუწუხებლად, ფანჯრებიდან ყრიან ნარჩენებს.

მოზარდთაგან არავის არ უნდა მუშაობა, მაღაზიებიდან ქურდობით, ჯიბეებში ძრომით არიან დაკავებულნი. კანონის მიხედვით, თუ ყმაწვილს 16 წელი არ შესრულებია, არავითარ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება და პოლიცია უძლურია. ნახეთ, როგორ ტრაბახობს არაბი მოზარდების ბანდის ერთ-ერთი „ბელადი“: **„ღამით პოლიცია ვერ მოდის კლიში-სუ-ბუაში — ეშინიათ. მთელი საფრანგეთი ისე შევაჯანჯღარეთ, როგორც დაგიბარებია... მალე მთელი ევროპა ჩვენი იქნება. თუ გსმენიათ, მეზობელ ბელგიაში რა არის ჩვილთა ყველაზე პოპულარული სახელი — მუჰამედი!“**

....გამოთვლილია, რომ 2030 წლისათვის საფრანგეთში მარტო მუსულმანები შეადგენდნენ 25 პროცენტს, საერთოდ უცხოელები კი — 40 პროცენტს: ფრანგებთან შობადობა იკლებს, გასტარბაიტერებთან იმატებს. მსხვილი ქალაქები — პარიზი, ლიონი, მარსელი გარშემორტყმულია ეთნიკური გეტოებით, სადაც მთავარი ავტორიტეტები მეჩეთების იმამები გახლავან. 2012 წლის მარტში ისლამისტმა მუჰამედ მერამ ტულუზაში ერთბაშად ჩაცხრილა 7 კაცი, 3 ბავშვის ჩათვლით. ახლახან კი რეიმსში მიბეგვეს გამვლელი, რომელიც ლორიან ბუტერბროდს მიირთმევდა: იმიგრანტები ღორის ხორცმა შეურაცხყო.

...რუსეთი შეშფოთებულია საფრანგეთში გასტარბაიტერებთან შექმნილი სიტუაციით. 20 წელია, რაც რუსეთში მიამიტურად ფიქრობდნენ, რომ იაფი შრომა ეკონომიკას წაადგება. ეგებ ასეცაა, თუმცა ფრანგების მაგალითზე ჩანს, რითი მოუტრიალდათ ეს: იმიგრანტების შემწეობაზე დახარჯული მილიარდობით ევრო, დარბევები მთელს ქვეყანაში, დანაშაულებრიობის მკვეთრი ამაღლება... რუსეთის ფედერაციის ქალაქების ირგვლივ იმიგრანტული გეტოების „ქამრის“ ასაცილებლად, გეტოებისა, რომლებიც საკუთარი კანონებით ცხოვრობენ, რუსებს მოუწევთ სასწრაფოდ მოწესრიგება საზღვრებისა, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი — ასე ფიქრობენ იქაური პოლიტოლოგები.

...„ფრანგული სიტუაციიდან“ გაკვეთილის გამოტანა თუ ჭკუის სწავლა არც ჩვენ გვაწყენდა, ქართველებს, მაგრამ რომ არ გვიყვარს ეგ „ჭკუის სწავლა“? და კიდევ — რუსებს ეუბნებოდნენ, ქართველებო, თქვენც გაიგონეთო... ვაითუ ახლო მომავალში ჩვენც დაგვემუქროს თურქული, ჩინური, არაბული, ინდური გეტოები თბილისის, ბათუმის, ფოთის, სხვა ქალაქების გარშემო (გამიხმეს ენა!)... გარეუბნები კი არა, აგერ მარნეულის თუ გარდაბნის ცენტრში ხომ გაუყიდია უზარმაზარი მიწის ნაკვეთი უცხო თესლზე იქაურ მოხელეს... საფრანგეთს და რუსეთს ვეებერთელა სივრცეები აქვთ და კიდევ რა უჭირთ, ჩვენს შაგრენის ტყავივით საქართველოს კი ცხოთაგან შევიწროება უნდა??? ციც, ქართულო დოყლაპიობავ!!!

მოამზადა
თამაზ ეგანოიძემ

განცხადება

მესამე აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რამაზი თამაზი ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: კასპის რაიონი, სოფელი ფერმა (საკადასტრო კოდი: 67.06.35.163), სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 2202კვ.მ.; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №01 საცხოვრებელი სახლის განაშენიანების ფართი — 154.7კვ.მ. №02 სათავსო — განაშენიანების ფართი 26.0კვ.მ.;

2. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;

3. უძრავი ქონების საწყისი ფასი: 925,32 ლარი;

4. აუქციონის დაწყების დრო: 2013 წლის 10 სექტემბერი, 15:15 საათი;

5. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

6. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამაზი თამაზი ოღლი (პირადი №24001015588), მისამართი: კასპი, სოფელი ფერმა;

7. მოვალეები: რამაზი თამაზი ოღლი (პირადი №24001015588) და ილხანაა აშრალოვი (პირადი №24001015591);

8. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

9. აუქციონის პირობები:

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები კასპის რაიონი, სოფელი ფერმაში (საკადასტრო კოდი: 67.06.35.163) მდებარე უძრავ ნივთზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2013 წლის 10 სექტემბერს, 15:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ რაგბი

ავსტრალია დაქვეითდა, საქართველოს წინ იაპონიაა

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ყოველკვირეულ რეიტინგში გასულ შაბათ-კვირას გამართული სამი მატჩის შედეგად ორი ცვლილება მოხდა.

ოთხი ერის პირველ ტურში ახალმა ზელანდიამ ავსტრალია სტუმრად სიდნეიში 15 ქულაზე მეტი სხვაობით რომ დაამარცხა (47:29), მონაგარს 1,47 ქულა შეემატა და რეიტინგლიდერობა გაიმყარა. ამდენივე ქულა დაკარგა ავსტრალიამ და ეს მას მესამე პოზიციის დაკარგვად დაუჯდა. „კენგურუებს“ ინგლისელებმა მცირედით გადაასწრეს და მესამე ადგილზე თავად აღზევდნენ, ხოლო ავსტრალია მეოთხე საფეხურამდე დაეშვა.

ოთხი ერის მეორე მატჩში სამხრეთ აფრიკამ არგენტინა 73:13 გაანადგურა, მაგრამ ეს მის რეიტინგზე არ აისახა, რადგან თამაშამდე მეტოქეს რვა ადგილითა და 10,36 სარეიტინგო ქულით უსწრებდა. ამრიგად, ახლა აფრიკელები ზელანდიელებს 4,52 ქულით ჩამორჩებიან.

კიდევ ერთი ცვლილება საქართველოს ნაკრების სიახლოვეს მოხდა. ინგლისში გასამართ 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში კანადამ აშშ სტუმრად 27:9 დაამარცხა და გარდა იმისა, რომ ამერიკის პირველი გუნდის სტატუსისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, რეიტინგში 1,13 ქულა ჩაიწერა, მე-14 ადგილამდე აღზევდა და იაპონია დააქვეითა. ახლა „ბორჯღალოსანთა“ წინ სწორედ იაპონიაა, რომელსაც 71,98 ქულა აქვს და საქართველოს 4,32 ქულით უსწრებს. მიუხედავად სარეიტინგო ქულების დაკარგვისა, „არწივები“ მე-18 ადგილზე რჩებიან.

უახლოესი სარეიტინგო ცვლილებები ერთ კვირაში მოხდება. კანადელები ამერიკელებს მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ეგიდით განმეორებით მატჩში უმასპინძლებენ, ხოლო ოთხ ერზე მასპინძლები შეიცვლებიან და ახალი ზელანდია ავსტრალიას მიიღებს, ხოლო სამხრეთ აფრიკა არგენტინას სამხრეთ ამერიკაში ჩააკითხავს.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მსოფლიო რეიტინგი 21 აგვისტოსთვის:

1 (1). ახალი ზელანდია 91,55, 2 (2). სამხრეთ აფრიკა 87,03, 3 (4). ინგლისი 85,76, 4 (3). ავსტრალია 85,41, 5 (5). საფრანგეთი 81,59, 6 (6). უელსი 81,36, 7 (7). სამოა 80,42, 8 (8). ირლანდია 79,58, 9 (9). შოტლანდია 76,95, 10 (10). არგენტინა 76,67,11 (11). ტონგა 74,77, 12 (12). იტალია 74,17, 13 (13). ფიჯი 73,56, 14 (15). კანადა 72,68, 15 (14). იაპონია 71,98, 16 (16). საქართველო 67,66,17 (17). რუმინეთი 66,18, 18 (18). აშშ 64,91, 19 (19). რუსეთი 61,99, 20 (20). ესპანეთი 60,44.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

სოსო შერმადინი „შსს აკადემიაში“ ვარჯიშობს

სუპერლიგის ერთ-ერთი ტანმაღალი კალათბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი სოსო შერმადინი (08.01.85, 208 სმ, 115 კგ) ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ და თასის მფლობელ „შსს აკადემიაში“ ვარჯიშობს. გააფორმებს თუ არა „აკადემია“ კონტრაქტს შერმადინთან, ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

ამის შესახებ თავად სოსო შერმადინმა განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ შერმადინი „შსს აკადემიაში“ 2009-11 წლებშიც თამაშობდა. „ძალოვნების“ გარდა, იგი საქართველოს სხვა გუნდებშიც („თბილავიამშენი“, თსუ, „მაკაბი“...) გამოდიოდა. ბოლოს, 2012-13 წლების სეზონში, სოსო შერმადინი სტუ-ში ასპარეზობდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით გუნდი სეზონის დასრულებამდე დატოვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„სპორტ-ექსპრესი“: ანანიძე საუკეთესოა

პოპულარულმა გამოცემა „სპორტ-ექსპრესმა“ „როსტოვის“ ქართველი ფეხბურთელი ჯანო ანანიძე რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის მე-ნ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა და, ცხადია, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა.

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს გამართულ მატჩში როსტოველებმა „ვოლგას“ 4:0 სძლიეს და ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგნენ, რაც დიდწილად ჯანოს დამსახურება გახლდათ – ქართველმა ნახევარმცველმა გოლს 2 საგოლე პასი წაამატა.

აი, როგორ გამოეხმაურა „სპორტ-ექსპრესი“ ანანიძის გარჯას: „ვოლგასთან“ მატჩის პირველ ტაიმში, როდესაც გუნდები აზრიან ფეხბურთს ნამდვილად ვერ თამაშობდნენ, მსუბუქი ქართველი ნახევარმცველი არცთუ შესამჩნევი იყო. იგი ცდილობდა სარგებლიანი ყოფილიყო, ძიუბას პასებით ამარაგებდა, მაგრამ სტუმრები მის შეჩერებას ახერხებდნენ...

მე-2 ტაიმში კი როსტოველთა გარემარბმა თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. თავდაპირველად კანგას ნახევრად-დატყმულს და ნახევრად-ჩაწოდებას ფეხი იღბლიანად დაუხვედრა, შემდეგ კი ორი უზუსტესი პასი გააკეთა – კალაჩოვზე 40 მეტრზე საჯარიმოს კუთხეში და ძიუბაზე საჯარიმოში თავური დარტყმისთვის.

მოკლედ, ყველაფერი გააკეთა, რომ „როსტოვის“ ვეტერანს და რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გოლები გაეტანათ“.

გიორგი ზოთაძე

◎ რა ენა წახდეს

„არ გათეთრდების ყორანი“...

ჩემი სპორტულ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობა 60 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ ხანგრძლივ შემოქმედებით ხანაში ასობით კარგი და სამწუხარო ამბის მომსწრე ვყოფილვარ. ჩემი თაობის პრესის მუშაკებს ჩინებულად ახსოვთ სახელგანთქმული სპორტული კომენტატორები, სულმნათი ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე. ამ დუეტის პროფესიონალიზმის შესახებ ბევრი საქებარი სიტყვა იწერებოდა პერიოდულ ქართულ პრესაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ეროსი მანჯგალაძის რეპორტაჟი გამოირჩეოდა ხალასი იუმორით და ფეხბურთის ჩინებული ცოდნით. განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ გულშემატკივრებისათვის ეს უსაყვარლესი პიროვნება ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემდა მწვანე მინდორზე მომხდარ თითოეულ წვრილმანს (მაშინ საქართველოში ტელევიზია არ მაუწყებლობდა). რაც მთავარია და დაუვიწყარი, მის ლექსიკონში ვერ გაიგონებდით ისეთ არაქართულ გამოთქმებს, როგორსაც დღეს იყენებენ ახალი თაობის სპორტული მასმედიის წარმომადგენლები. ეროსი საუბრობდა, რომ ბორის პაიჭაძემ გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და გაახვია ბურთი მოსკოველთა კარის ბადეში. გამორიცხული იყო მას ეხმარა ისეთი „უწმინდური“ გამოთქმები, როგორიც დღეს გვხვდება რადიოსა და ტელეეთერში: ვლადიმერ ბარქაიამ ბრწყინვალე „გოლი“ გაიტანა, თბილისელი „ფორვარდები“ მედგრად უტევენ ლენინგრადელთა კარს, „აუტს“ აწვდის მიხეილ მესხი, საუკეთესოა ჩვენი „გოლეადორი“ ზაურ კალოევი და სხვა მრავალი.

ერთი სიამოვნება იყო, როცა ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის დუეტი მიკროფონთან იყო. ჩვენ სწორედ მათგან ვისწავლეთ და საშვილიშვილოდ დავიმახსოვრეთ წმინდა ქართული სპორტული ტერმინები: ბურთი გვერდითი ხაზიდან თამაშში შეიყვანა სლავა მეტრეველმა (აუტის ნაცვლად), ჩინებული გადაცემა მიიღო ავთანდილ ღოღობერიძემ (პასის ნაცვლად), როსტოველთა კარის დარაჯმა გამოიტანა ბურთი ბადიდან (გოლკიპერი), ბრწყინვალედ თამაშობს არმიელთა თავდამსხმელი ვსევოლოდ ბობროვი (ასპარეზობის მაგიერ) და სხვა.

მოგონებათა სკივრიდან მინდა შემოგთავაზოთ ერთი ქართველი გულშემატკივრის პატარა ლექსის ნაწყვეტი, რომელიც მან მოსკოვში თბილისის „დინამოს“ სახელოვანი კლუბის გამარჯვებას მიუძღვნა. აღნიშნულ რეპორტაჟს ჩვენი საყვარელი დიქტორი ეროსი მანჯგალაძე უძღვებოდა:

„ოჰ რა ტკბილად დავიძინებ,
შენ იცოცხლე, ეროსი,
თასი მომეც ვადღეგრძელო
გუნდი საქართველოსი“...

დღევანდელ ჩემს უმცროს კოლეგებს, განსაკუთრებით რადიოს მუშაკებს თუ მოუსმენთ, ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებას ისინი ასპარეზობად ნათლავენ, რაც არასწორია. მიმაჩნია, რომ თავდაპირველად ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი, ჭადრაკი, რაგბი თამაშია. არც ჭიდაობა და, ვთქვათ, კრივი გახლავთ ასპარეზობა, ისინი ორთაბრძოლებია. თუ მაინცდამაინც გინდათ იხმაროთ ტერმინი ასპარეზობა, მაშინ ეს გააკეთეთ, როცა წერთ ან რადიოს ეთერში ლაპარაკობთ მძლეოსნობის, ველოსპორტის, ნიჩბოსნობის, ცხენოსნობის, ავტორბოლის შესახებ. იმაზეც გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომ ერთ მეტად პოპულარულ საფეხბურთო გაზეთში შეხვდებით ასეთ ქუჩურ გამოთქმებს: უპასა, შეუმსერა, შეუსისინა და სხვა. რაც შეიძლება მალე უნდა ამოვშანთოთ პრაქტიკიდან ისეთი ტერმინები, როგორიცაა აუტი, ბომბარდირი, მეგოლე, სნაიპერი, ფორვარდი და სხვა.

ალბათ, ვერასოდეს გავიგონებ წმინდა ქართულ გამოთქმას: ნოზაძემ ბურთი გაიტანა და ყველაფერი ისევ ისე დარჩება. ახალგაზრდა კომენტატორთა ლექსიკონებში „ჩაბეტონებულია“ ეს გაცვეთილი ტერმინი: გოლი გაიტანა, პასი არ გავიდა, დუბლი შეასრულა და ა. შ. სწორედ ამიტომ შევარჩიე ჩემი დამრიგებლური ხასიათის წერილის სათაური: „არ გათეთრდების ყორანი“.

შალვა ქირია,
ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი.

სურათზე: ეროსი მანჯგალაძე რეპორტაჟის წინ.
გენადი სანაიას ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

ეჭვიანი ჯიბრილ სისე

ამჟამად უსახელო რუსულ კლუბში მოთამაშე ერთ დროს საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი ჯიბრილ სისე, თურმე, დიდ გულისტკენასა და კაეშანს განიცდის. ჯიბრილის ნერვიულობის მიზეზი, თურმე, ნუ იტყვით და, მისი ცოლი – ჯუდი სისე ყოფილა.

როგორც ფრანგული პრესა წერს, კრასნოდარში გადაბარგებული ფერადკანიანი ფეხბურთელი თავის ცოლზე გამუდმებით ეჭვიანობს და სულ იმის შიშშია, რომ ჯუდი ღალატობს. მოგეხსენებათ. კვამლი უცეცხლოდ მართლაც არ ჩნდება, მაგრამ ჯიბრილს აშკარად ზედმეტები მოსდის...

მიუხედავად ქმრის ეჭვიანობისა, ჯუდი სისე ჯიბრილის ახირებებს დიდ ყურადღებას არ აქცევს და კაზაკთა მიწაზე კოხტად დანავარდობს. ამას წინათ ერთ-ერთი მდიდრული ბანკეტიდან ჯიბრილ სისეს თავისი მეუღლე ძალით წაუყვანია, რასაც ადგილობრივების აღშფოთება მოჰყვა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პამფლეტი – „კანფეტი“

პოლიტიკა და სექსი

რისი რისი და – ჩვენს დაპატარავებულ საქართველოშიც პოლიტიკის, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ექსპერტების, პოლიტიკური პარტიების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა. გინდაც პოლიტიკური ტელეგადაცემებისა (უფრო ხატოვნად ზოგჯერ რომ ტელეშოუებად მოიხსენიება): აქცენტები გინდა, დიალოგი გინდა, პოზიცია გინდა, პროფილი გინდა, ვახოს შოუ გინდა, ნანუკას შოუ გინდა...

დიდი გალაკტიონი რომ გარდავთქვათ, ასეთი რამეც შეიძლება გამოვიყვანოთ: ჩვენთან ბევრი პარტიაა, სულ სხვადასხვა ფერია: ზოგან წითელ, ზოგან... ყვითელ, ზოგან.. არაფერია. ცოტა გასაკვირიც კია, ამ შეკრეჭილ და რუსეთის ნაკარნახევ თარგზე გამოჭრილ ქვეყანაში ამდენი „პოლიტ“ როგორ ეტევა...

ამას წინათ შემთხვევით მოვხვდი ერთ დახურულ თათბირზე, რომელსაც საინიციატივო ჯგუფი ატარებდა... ახალი პარტიის შესაქმნელად. ჩემთვის ცნობილი გახდა მომავალი პოლიტპარტიის მთავარი დევიზი: „არც უძრაობა, არც მოძრაობა, არც ოცნება, არამედ სამი მონაცვლე რამ – კექსი, ლექსი და სექსი“. ისიც შევიტყვე, რომ მის რიგებში მიღებული არ იქნება არანაირი და არც ერთი „ექსი“. ექსმინისტრი, ექსპარლამენტარი, ექსხელოვანი, ექსსპორტსმენი... ექსპრომტადაც კი...

სამაგიეროდ მიღებულ იქნა დასკვნითი კომუნიკე, სადაც ნათქვამია: „დამღუპველი რევოლუციების, ვარდების იქნება თუ ჭინჭრების, წყაროს წარმოადგენს არა ძალაუფლებისკენ ლტოლვა, არა პოლიტიკური პატივმოყვარეობის ფუთფუთი, არა კორუფცია და არა ქურდობა, არა რუსეთი, აშშ და ასე შემდეგ – არამედ კაშკაშა სექსის უქონლობა“.

მართლაც და, ხალხის რჩეულები ძალიან გაიტაცა კანონშემოქმედებამ. არადა, უნდა ხშირად იხსენებდნენ ზიგმუნდ ფროიდის შეგონებას: „პოლიტიკისკენ სწრაფვა – ეს სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შედეგია და რომ ერთადერთი სიმახინჯე – ეს სექსის უქონლობაა“.

ქალბატონებო და ბატონებო! გარეთ ხომ ზაფხული დგას, ცხელა! რატომ უნდა დავმალოთ, რომ ცხოვრება უფრო უკეთესი, უფრო მხიარული გახდა. გავიხსენოთ იმავე ზიგმუნდ ფროიდის ცნობილი რეცეპტი, ნევროზით დაავადებულ ერთ ქალბატონს რომ გამოუწერა: „მამაკაცი... დღეში სამჯერ!..“

ქართულ სინამდვილეს რაც შეეხება, პოლიტიკისა და სექსის შეთავსების მაგალითი, თანაც დიდებული, ხომ თვალწინ გვაქვს ყველაფერში ზღვარდაუდებელი პრეზიდენტის სახით. რა, თქვენც და მეც არ ვიცით განა, რამდენი მანდილოსანი გახადა, დასაყვარლების ფასად, მინისტრი თუ მინისტრის მოადგილე, პარლამენტარი თუ სცენის ვარსკვლავი? ან ეგებ ასე ვთქვათ – რამდენ **მანდილოსანს გახადა?** და მერე, მოყირჭებული, ზოგი მათგანი როგორ წარმატებულად გაათხოვა საფრანგეთისა თუ ინგლისის მეფეების დარად (ვინც ისტორიას იცნობს)! ერთი განსხვავება კი უნდა აღინიშნოს – ის ფრანგი თუ ინგლისელი მეფეები საყვარლებზე დასახარჯ ფულებს პარლამენტს ეხვეწებოდნენ და არცთუ იშვიათად უარს იღებდნენ, ამ ჩვენს ვაუბატონს კი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სულ ერთ ადგილას ეკიდა, განსაკუთრებით დავით ბაქრაძის სპიკერობისას. მილიონობით დოლარს თავის ხოშზე ამღერებდა.

კი ვთქვი, პოლიტიკას და სექსს მარჯვედ ათავსებდა-მეთქი, მაგრამ ესეც უნდა ვთქვა – ჩემი „შეხედულებით“, სექსი უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკა; ეს კია, რომ ერთმა ლამაზმანმა, მედიაში საკმაოდ ცნობადმა სახემ, ერთი პოპულარული გაზეთის ფურცლებიდან ორჯერ განაცხადა მიხეილ სააკაშვილს ერექციის მხრივ პრობლემები აქვსო; ოღონდ ის კი აღარ დასძინა, თავის თავზე გამოსცადა თუ არა...

ასეა თუ ისე, პოლიტიკასა და სექსთან დაკავშირებით, მე აბა რა ექსპერტი ვარ, მაგრამ გავრისკავ წინასწარმეტყველებას: საგაისედ მემუარული ლიტერატურის გამოჩენას და სათანადო გამორჩენას, უნდა ველოდეთ გრძელოს საყვარლებისა და დაცვის წევრთა ავტორობით, სადაც მისი ამურული თუ სხვა თავგადასავლები იქნება გადმოცემული. ზოგიერთმა ბანოვანმა ეგებ დაიბრალოს კიდევაც გრძელოს ხასობა...

ამასობაში არ მიმავიწყდეს ის მომავლის პარტია და იმისი მანიფესტი, სადაც კიდევ აი, რა არის ნათქვამი:

„ჩვენ არ ვაპირებთ კრიჟანგობას – ყოველ დეპუტატ მამაკაცს თითო დედაკაცს მივცემთ! ყოველ დეპუტატ ქალს – თითო მამაკაცს. ასევე მინისტრებსაც. ახლა, როცა ყველას ხელფასი ასეა გაზრდილი, დაე, თითოეულ ჯიბეში იდოს ერთი პეშვი ვიაგრა... პარტიის დევიზში ლექსიც ვახსენეთ და ლექსით დავამთავრებთ კიდევაც:

არა ვმალავთ ჩვენ ამასო,
თუმც რომ ვრისკავთ, კარგად გვესმის:
მუდამ მზად ვართ, შევთავაზოთ
ყველას კექსი, ლექსი, სექსი...“

ჭეშმარიტად მოგიწოდებთ, დანო და ძმანო: ლამაზ პოლიტიკას – ლამაზი სექსი!..

ბერდია ბედოიძე

აბაშის რაიონის სოფ. მარნის 1965-66 სასწავლო წლის სკოლადამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

ვენერა (მზისა) გაბუნია-პიტავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

მარინა კანდელაკი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა საყვარელი ადამიანი, საახლობლოსა და სამეზობლოში ჭირსა თუ ლხინში გამორჩეულად გვერდში მდგომი, თავის ოჯახზე თავდაუზოგავად მზრუნველი

ვენერა (მზისა) გაბუნია-პიტავა

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ყველა ჭირისუფალს.

ნანული (ნანა) გუნია, ელვარდ კავთაძე, გიორგი ლაგვილავა, ლიდა სტვილია თანაუგრძნობენ ბიეტა აფშილავას და მის ოჯახს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ჩვენი პრეზიდიუმის წევრის, ბატონ ლევან კამკამიძის შვილიშვილის

ლევან კოტეტიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

საქართველოს კულტურის ფონდის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან ჩვენი თანამშრომლის, ლევან კამკამიძის შვილიშვილის

ლევან კოტეტიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საზოგადოება „ზუგდიდელი“ თანაუგრძნობს ბატონ ოთარ ჭითანავას ცოლისძმის

გურამ სოტკილავას

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 21 VIII, 17 სთ. გამოსვენება 22 VIII, 15 სთ. მის: თარხნიშვილის 9.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის ავტორსა და მეგობარს, ბატონ ოთარ ჭითანავას ცოლისძმის, დიდებული ქართველის

გურამ სოტკილავას

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ჟურნალისტის გულის გუნარი

ჩვენ ერთნაირად გვტკივა ქვეყნის ბედი!

ეტყობა, ჩემი სახელი და გვარი მხოლოდ გაგონილი ჰქონდათ, ან ნანახი პრესის ფურცლებზე მაინც, თორემ, პირადად რომ არ მიცნობდნენ, ცხადი იყო. იქვე, მოპირდაპირე მხარეს, ძელსკამზე ვიჯექი და ერთ-ერთმა სიგარეტიც კი მთხოვა.

– თუ არ შეგაწუხებთ, იქნებ სიგარეტი მომაწევინოთ!... გამითავდა, ეს ოხერი, და ვერ ვითმენ, სანამ ვიყიდი!...

–კი, ბატონო!... ამბობენ, მალე აკრძალავენო ამ ოხერს და მერე გვეშველება მეც და თქვენც!... – გავეხუმრე და ჩემი „პირველი“ გავუწოდე.

ეს იყო და ეს, მეტი „შეხება“ არ მქონია მათთან. ოთხნი იყვნენ, ასე, შუახნის მამაკაცები. საუბრობდნენ ათას რამეზე, – ფეხბურთზე, ქალებზე, პოლიტიკაზე და ა.შ. მე კი, ჩემს საფიქრალს „ვანებივრებდი“.

უცებ ჩემი სახელი და გვარი ჩამესმა მოპირდაპირე ძელსკამიდან.

– ...ხო, კი, კი!... ის იქნებოდა!...

– ზოგჯერ, ფსევდონიმებითაც აწერს ხელს სტატიებს...

–კარგა ხანია არაფერი წამიკითხავს მისი ნაწერი!... სადაა, ნეტავი?...

– ჰო, მეც არ წამიკითხავს!... იქნებ, მოკვდა კიდეც!...

„მოკვდაო?“ – ყური ვცქვიტე!... გავბრაზდი! მაგრამ იმავე წამს დაცხრა ჩემი უეცარი „აღშფოთება“ და ვითომც არაფერი, განვაგრძე ყურისგდება, – დამაინტერესა რას იტყოდნენ უცხო „ტიპები“ ჩემზე!

– ამ ორიოდე თვის წინათ მისი ერთი წერილი წავიკითხე „საქართველოს რესპუბლიკაში“!... ენგურის ხეობის პრობლემებზე იყო საუბარი...

– მართალს წერდა!... ამ გარეწრებს როგორ უნდათ, რომ გაანადგურონ ენგურის ოქრო!... მართლაც ზროსავით შერჭობია მთელს სვანეთს ეს „ჰესები“!... არადა, ოქროთიც მდიდარია ენგურის ხეობა!... პატრონი სჭირდება საქართველოს, პატრონი!...

– კი, მეც წავიკითხე ის სტატია... სათაურიც კარგი ჰქონდა,–“ზრო“!

–ეტყობა, ტკივა კაცს!... ნეტავი გამაგებინა, კიდევ რას ფიქროობს დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაზე, ყოფაზე, პოლიტიკაზე!...

– ეეჰ!... მოაკეტინეს, ალბათ!...

ერთი კი, დავაპირე, გამოველაპარაკები-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ავდექი და თვალთაგან მივეფარე, იქვე მოშორებით, სიმყუდროვეში ჩამდგარ ძელსკამზე „გავყევი“ ჩემს ფიქრებს.

...1964 წელს, ოთხთვიანი ველო-ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებულებს, გრანდიოზული შეხვედრა მოგვიწყო მშობლიურმა უნივერსიტეტმა და დედაქალაქმა! აქამდე ასეთი ხალხმრავლობა საზეიმო პარადებსა და დემონსტრაციებზე თუ გვენახა ბიჭებს!

...სამოცდაათიანი წლების ბოლოს კი მშობლიურ ენას ვიცავდით ახალგაზრდები და მთავრობის სახლის წინ მუხლებზე ვიდექით!

...ოთხმოციანი წლების მიწურულს, სისხლიანი აპრილის თვეში კი, რუსის ტანკებს ვებრძოდით რუსთაველზე და მტარვალთა ტყვიებით დახოცილ ადამიანებს დავსტიროდით!... გული კი, მიუხედავად გლოვისა, სიხარულითა და სიამაყით გვქონდა სავსე!... მაგრამ მერე, – დაიქცა ქვეყანა!

...ოთხმოცდაათიან წლებში პურის საცხობებთან ვათევდით ღამეს და „მხედრიონის“ აღვირახსნილობას ვიგერიებდით!

ეეჰ, ბედკრულო საქართველოვ!...

სწორედ მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო! – ბოლმისა და სიძულვილის ენამ შეცვალა ყველაფერი და ამ სიძულვილმა დაასამარა სიამაყე ჩვენი!... სევდა მომეძალა! თითქოს, ცრემლით სავსე ხურჯინი ამეკიდოს ზურგზე, ძლივს გავიმართე წელში.

... „ბიჭები“ კვლავ პოლიტიკურ „დებატებში“ იყვნენ ჩართულნი.

– თუ ძმა ხარ!... ვერ ხედავ რაც მოგვიტანა ოცდამეერთე საუკუნემ?... ღვარძლმა შთანთქა საქართველო! მოვიდნენ „ბაცები“ და „ნაცები“ და ჩახლეჩილი ხმებით, გადარეული ფსიქიკით დაიწყეს თავიანთი ბინძური საქმეების „სრულყოფა“! შევარდნენ „პალატებში“ და სხვისი „მოსმული“ ჭიქით ჩაიწმინდეს ჩახლეჩილი ყელი! – ფეხზე იდგა „ორატორი“ და ქადაგებდა რაღაც სისულელეს.

– დიახ, დიახ!... მართალს ამბობ, რუსთაველზე კვლავ დაიღვარა ქართველთა სისხლი!... ოღონდ, ახლა ქართველის ხელით ჩაჩუმეს ქართველი! დაიზაფრა ხალხი, ხმა ჩაწყვეტინეს მამულიშვილებს! ხმაგაკმენდილ სიჩუმეს კი, ვეღარ გაუძლო ერმა და კვლავ დადგა იქ, სადაც მანამდე ერთხელ უკვე ვიდექით მუხლებზე! მაგრამ კვლავ „აკნავლდნენ“ ნაგვის ყუთებში „ჩაყრილები“, კვლავ აღავღავდნენ ქოფაკები, კვლავ აღიმაღლეს ხმა, – ხმა ბოღმისა და რევანშისა! ...და დადგა წლევანდელი, უსუსური ა პ რ ი ლ ი! კვლავ ამოხეთქა სიბინძურემ და დაავიწყდათ ვისი გორისანი იყვნენ! – ბოლო სიტყვები ცოტა პათეთიკური გამოუვიდა მეორე ორატორს.

– მთავარი ისაა, რომ დავკარგეთ თავმოყვარეობა... იმდენი ტვინი არ გვეყო, რომ გარეთ არ გაგვეტანა საკუთარი ბოღმა... აქ, რომ ვერაფერს გახდნენ, იქ, საზღვრებს გარეთ, „მავანთ“ აგონებენ თავიანთ უნიათო წკავწკავს, რათა განაქიქონ სამშობლო ჩვენი! არადა, ვერ გრძნობენ კეთილ რჩევას, რჩევას სიკეთისას! – ერთად, მშვიდად, დინჯად და ჭკუამოხმობილებმა ვაშენოთ ჩვენი ბედკრული ქვეყანა!... ახლა კი, ამ ყავლგასულმა ჩუჩელამ, რაღაც „შეხვედრები“ დაიწყო და უნდა რომ ტვინი აუმღვრიოს ხალხს!... ბევრს სჯერა კიდეც მისი...

–კიდევ ცოტა ხანი და... თუ საქართველოს კიდევ ერთხელ აერია ტვინი, საბოლოოდ დამთავრდება მისი „ბაირამობა“.

... მომინდა, გვერდი არ ამევლო ამ „დებატებისთვის“, მაგრამ ჭაღარაოსნის გაბრაზებულმა ტონმა ცოტა შემაშინა. თავი შევიკავე, თორემ, მეც მქონდა ჩემი სათქმელი...

...უცებ ჭრელი, ლამაზი ბურთი ჩამიგორდა ფეხებში და მოგონებები გამებნა. ჩემს წინ ქოჩორა ბიჭი იდგა და თვალებში შემომცქეროდა!

– ოჰო, ბაბუ!... ვისი ხარ, კაცო, შენ?

– ბოდიში, ბაბუ!... ბურთი გადმომიგორდა თქვენკენ!...

– არა უშავს, ძვირფასო!... გინდა ვითამაშოთ?...

ბიჭმა დაირცხვინა. დედა მოჰყვა ფეხდაფეხ. მიმიბოდიშა ახალგაზრდა დედიკომ... მე ბურთი მივაწოდე.

– გმადლობთ, ბაბუ!... – კვლავ მომიბოდიშა ბიჭმა და მე გამიხარდა, რომ ხუთიოდე წლის ბავშვმა უკვე იცოდა ბოდიშის ფასი!

– გაიზარდე დიდი ბიჭი, ბაბუ, გაიზარდე!...

დაკოდილ გულზე საამო სიომ გადამიარა!

– იქნებ არ დაიღუპოს საქართველო! იქნებ გადარჩეს და გამთლიანდეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

და მე მომინდა მეხარებინა იმ ნირშეცვლილი, დარბაისელი კაცებისთვის:

– არა, არ მოვმკვდარვარ!... ჯერ ისევ ცოცხალი ვარ და აი, ამ წერილს გწერთ!

ზაურ ფიფია

HOMO SAPIENS

სიმკაცრე, მტრული განწყობა

ანთროპოლოგები ვარაუდობენ, რომ აგრესიული მოქცევა წინაპრების თავის ტვინის მოცულობის გაზრდის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო.

მეცნიერები დიდი ხანია იმის მიზეზის ახსნას ცდილობენ, თუ რატომ გაორმაგდა ჩვენს წინაპართა თავის ტვინის მოცულობა ბოლო მილიონი წლის მანძილზე. ამასთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინათ გამართულ „გიბრალტარის კლდის“ კონფერენციაზე ორიგინალური ვერსია წამოაყენეს.

— იმის გამო, რომ დედამიწაზე კლიმატი არაერთხელ მკვეთრად შეიცვალა, ჩვენს წინაპრებს სულ ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობა უხდებოდათ, — განაცხადა კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიოლოგიის დოქტორმა ანდრეა მანიკამ. — განსახლებისას კი ადამიანებს ბრძოლა არა მარტო კონკურენტებთან, არამედ ბუნებასთანაც უწევდათ.

ჰომო საპიენსი აფრიკაში 200 ათასი წლის წინათ გაჩენის შემდეგ იქიდან მხოლოდ 130 ათას წლის წინათ განსახლდა, რადგან არაბეთის ნახევარკუნძულის გაუვალი უდაბნოს გამო ერთგვარ „ხაფანგში“ აღმოჩნდა. შიგადაშიგ მოსვლა წვიმებმა იქ მხოლოდ 70 ათასი წლის წინათ დაიწყეს, რამაც ადამიანებს კონტინენტის საზღვრებს გარეთ გასვლის შესაძლებლობა მისცა. თუმცა, აღმოსავლეთით გადაადგილების დროსაც ისინი გამუდმებით მსგავს „ხაფანგებში“ ხვდებოდნენ: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გზაზე ისინი ინდონეზიაში 60 ათასი წლით „გაიჭედნენ“ ზღვის მაღალი დონის გამო, ხოლო ციმბირიდან ამერიკაში გადასვლისას 15 ათასი წლით შეყოვნდნენ უზარმაზარი მყინვარის გამო. მიგრაციამ გააკაჟა ჩვენი წინაპრები და ავები გახადა ისინი.

— თავის ტვინის აქტიური ზრდაც სწორედ ამ პერიპეტიების დროს ხდება, — ამბობს იელის უნივერსიტეტის პალეონტოლოგიის დოქტორი იენ ტეტერსოლი. — მიგრაციების დროს წინაპრებს აქტიურად უხდებოდათ იმაზე ფიქრი, თუ როდის, საით და რა დროს უნდა დაძრულიყვნენ ადგილიდან, რათა უცხო მხარეებში საკუთარი თავი და შთამომავლობა შეენარჩუნებინათ.

ახალ ადგილებამდე მიღწეულებს კი მათ თავის ტვინი ისევ აქტიურად უნდა ემუშავებინათ, რათა განესაზღვრათ, თუ სად დასახლებულიყვნენ, უკეთ მოწყობილიყვნენ, რა ეჭამათ და, რაც მთავარია, როგორ დაეცვათ საკუთარი ტერიტორია მეზობლებისგან. არსებითად, დაჭკვიანება ადამიანმა აგრესიული მოქცევასთან ერთდროულად დაიწყო.

— ადამიანთა პატარ-პატარა ჯგუფებს შორის მტრობამ, გამუდმებულმა კონფლიქტებმა ის შედეგი მოიტანა, რომ ბუნებრივი შერჩევის მოგება ყველაზე გონიერმა ინდივიდებმა დაიწყეს, რომლებსაც თავიანთი მოქცევის დაგეგმვის უნარი შესწვდათ, — განაგრძობს დოქტორი ტეტერსოლი. — როცა ყინულები და უდაბნოები კვლავ უტევდნენ ადამიანთა განსახლების არეალებს, მათი დიდი ჯგუფები იძულებით უფრო წვრილ-წვრილებად იყოფოდნენ, რომელთაგან თითოეული სხვებისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა, რის შედეგად საკუთარ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს იძენდა. მერე როცა კლიმატი კვლავ იძლეოდა შეერთების შესაძლებლობას, ტომები ერთმანეთს ხვდებოდნენ და ძლიერები სუსტებს ანადგურებდნენ. გამარჯვებულები გენების, აღზრდისა და ყოფაქცევის მეშვეობით შთამომავლობას თავის სახასიათო ნიშნებს გადასცემდნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში მთელი კაცობრიობის კუთვნილება ხდებოდა. ეს თვისებები კი სიმკაცრე, არაკეთილმოსურნეობა და მტრული განწყობა იყო.

ოთარ ტურაბელიძე

P. S. როგორც ჩანს, ამიტომაცაა ერთ-ერთი უმთავრესი მცნება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჯერ კიდევ ბიბლიის ავტორებმა შეამჩნიეს ადამიანების ერთმანეთისადმი უცნაური დამოკიდებულება, თუმცა კი მისი არსი ვერ გაეგოთ. ჰოდა, სიყვარული წესად შემოიღეს, თუმცა კი ამ ღვთიურ კანონს, სამწუხაროდ, ბევრნი არც დღეს ასრულებენ.

ო. ტ.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვიხილეთ

„ადგილობრივმა მმართველობამ მახათის ხმარებას თავი უნდა დაანებოს

— განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში სტუმრობისას, — ვფიქრობ, რომ აჭარაშიც და სხვაგანაც, ადგილობრივმა მმართველობამ ხალხს უნდა მიხედოს. მახათი კი არ უნდა იხმაროს მუდმივად არასწორი მიმართულებით, არამედ რეალურად მიხედოს ხალხს. ეს კი ნიშნავს, რომ ბათუმშიც და სხვაგანაც უნდა აღდგეს ბარაკებისგან გათავისუფლების პროგრამა, რომელიც აქამდე არსებობდა. ბიუჯეტი უნდა აღდგეს ძველ პირობებში და მშენებლობა და ხალხის დასაქმება უნდა გაგრძელდეს.

„ახალი თაობა“

ფოთის ხიდი, შესაძლოა, დაინგრეს

ფოთის აღმოსავლეთით მდებარე ჰიდროკვანძი, რომელიც ხიდის ფუნქციას ასრულებს, შესაძლოა, დაინგრეს. ამ დასკვნამდე მიდიან დარგის სპეციალისტები, რომლებიც მის მდგომარეობას აკვირდებიან. მათი განმარტებით, ასეთ შემთხვევაში ზარალი ასეულობით მილიონ დოლარს მიაღწევს, ფოთი კი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. 50 წლის წინათ აშენებული ჰიდროკვანძი ევრაზიის დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობის ტრანსრეგიონული ობიექტი და ფოთის პორტიდან ტვირთების დანარჩენი მიმართულებით გადაზიდვის ერთ-ერთი მთავარი სახმელეთო გზის ნაწილია, ობიექტს ფოთის წყალდიდობებისგან დაცვის ფუნქციაც აკისრია. თუმცა, ამ დროისთვის ყველა დანადგარი მწყობრიდანაა გამოსული.

„ალია“

ქართველები ბელორუსიდან პოლონეთში გადასასვლელ გვირაბს თხრიდნენ

ბელორუს-პოლონეთის საზღვრის სიგნალიზაციის კომპლექსის ერთ-ერთ მონაკვეთზე საგანგაშო სიგნალი ამუშავდა. მესაზღვრეები შემთხვევის ადგილზე გავიდნენ, რის შემდეგაც ორი ადამიანის კვალი და კომპლექსის ქვეშ გათხრილი გვირაბი აღმოაჩინეს. ცოტა ხნის შემდეგ სასაზღვრო ზოლიდან 800 მეტრის მოშორებით, ორი ქართველიც დააკავეს, რომლებსაც არ დაუმალავთ, რომ პოლონეთის საზღვრის დარღვევა ცხოვრების უკეთესი პირობების მოძებნის მიზნით გადაწყვიტეს. ქართველები ამ დრომდე დაკავებულები არიან და მათ მიმართ საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რა ღირან მეფეები?

ინგლისში, თითქოსდა, უხარიათ სამეფო ოჯახის შევსება, მაგრამ კვლავ ჩივიან, რომ მონარქები ძვირი უჯდებათ ხაზინას და რა ღირან მეფეები?

რ. სირბილაძე, ხარაგაული

„მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის სამეფო სახლის ბიუჯეტი უკვე შეამცირეს, ის დანახარჯების ოდენობის ლიდერად რჩება, — ამბობს პროფესორი **ვიქტორ კვერენჩხილაძე.** — ამაში არაფერია გასაოცარი, ვინაიდან ბრიტანეთის მონარქია ევროპაში ყველაზე დიდია“. გაანგარიშებით, ბრიტანელი გადასახადის გადამხდელები ელისაბედ II-ის ოჯახის შენახვაზე დაახლოებით 45,6 მილიონ ევროს ხარჯავენ წელიწადში. პრინც უილიამისა, მისი ცოლისა და ახალდაბადებული ბიჭის საცხოვრებლის მხოლოდ რემონტზე 800 ათასი ევრო დაიხარჯა. ნიდერლანდის მონარქიის შენახვა ქვეყანას 39 მილიონი ევრო უჯდება, ნორვეგიის სამეფო სახლისა — 25 მილიონი ევრო. ყველაზე იაფი მონარქია ესპანეთისაა — 8,4 ევრო წელიწადში.

ამ კვნესას ჩვენში სექსს ეძახიან?

იაპონელებმა გამოიგონეს სამაჯური, რომელიც უჩვენებს, თუ რამდენად კმაყოფილია ადამიანი სექსით. გამოდის, რომ ახლა, როგორც იქნა, შეიძლება გავიგოთ, შენმა პარტნიორმა მართლა მიიღო კმაყოფილება, თუ მხოლოდ მისი იმიტირება მოახდინა?

ვ. სიხარულიძე, გურჯაანი

გვიპასუხებს ექიმი-გინეკოლოგი თამარ მჭედლიშვილი:

— როდესაც ადამიანი სექსისგან ნამდვილ კმაყოფილებას ღებულობს, მას კუნთები მკვეთრად ეკუმშება, რასაც მოსდევს მოდუნება: ორგანიზმი წესრიგში მოდის (ნორმალური ხდება წნევა, სუნთქვა). ამ პროცესს ანალოგები არ გააჩნია: მაგალითად, სპორტული მეცადინეობის დროს თქვენი სხეულის ქცევა გამოირჩევა. თეორიულად ხელსაწყო, რომელსაც სექსის დროს შეუძლია ანალიზი გაუკეთოს ყველა ცვლილებას, რაც ორგანიზმში ხდება, შეძლებს გვიპასუხოს, განიცადა თუ არა ქალმა ორგაზმი. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ სამაჯური აღჭურვეს ასეთი გონივრული პროგრამით, ალბათ, ეს უბრალოდ სარეკლამო სვლაა.

ცინცხალი ანეკდოტები

— ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ძაღლი გყავთ, ალბათ, ძალზე ჭკვიანიც არის?

— მერედა როგორ. აი, გუშინ სასეირნოდ გამოვედით და ჩემთვის ჩავილაპარაკე: ეტყობა რალაც დაგვავიწყდა? და იცით რა გააკეთა?

— ალბათ, სახლში გაიქცა იმის მოსატანად, რაც დაგავიწყდათ, არა?

— ნურას უკაცრავად, ჩაცუცქდა, უკანა თათით ყური მოიფხანა და დაიწყო ფიქრი თუ რა დაგვავიწყდა.

* * *

ებრაელთა წყევლა: „ისეთი მდიდარი ყოფილიყავი, რომ შენი ქვრივის მეორე ქმარი მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს“.

* * *

ლუდის წარმატებული ბიზნესის ორი პირობა:

1. გამოვუშვათ ლუდის სარეგისტრაციო მარკები „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“.

2. ამის შემდეგ ჩამოვასხათ ლუდი ეტიკეტებით: „ბნელი წარსული“, „ნათელი მომავალი“ და „მღვრიე (გაუფილტრავი) აწმყო“.

ბიზნესიც აეწყობა.

* * *

— მითხარი, რატომ გსურს გაიცნო შენი საცოლის ყოფილი საყვარელი?

— მაინტერესებს, რატომ მიატოვა ნასტინკამ ის ბედნიერი, რომ მეც ისევე მოვიქცე და ამ ურჩხულისგან თავი დავიხსნა.

* * *

— ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დაჭყეტილი თვალები და, ბოლოს და ბოლოს, რა ჯანდაბამ შემოგახეტა ამ ღამის კლუბში?

* * *

— ბაბუ, ბაბუ წეიღო წყალმა გურია და რეიზა არ ჩამოდის აქანა პრეზიდენტი?

— ჯერე სუფსას ლოქო არ გამოურიყია.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მორიგე
პასუხისმგებელი
რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-62-77;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24